წელიწადი მესამე ფასი 10 კ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 15 მაისი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 17

## ჟურნალის შინაარსი

ჩინეთი—**ალ. ხელაძე**; მეურნეობის საკითხები— **ნ. ელიავა**; ჩინეთის მიმოხილვა—**მიმომხილველი**; რკინის გზებს საკითხები—**ყარაიუსუფ**; არანორმალური მუშაობის ერთი ნიმუში—**ლ. კუპრაშვილი**; ახლო წარსულიდან —**ყარიბი**; ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობა—**ი. ნარსია**; ჩაის კულტურა ჩვენში—**ა. ფადაჭკორია**; ვისთან ერთად და ვის წინააღმდეგ?—**აპოლონ ალანია**; ქართული ენის სიწმინდისათვის—**მასწავლებელი**; ალაზნის სარწყავი არხი—**ივ. ვაჩნაძე**; საუბარი პროლეტარულ ხელოვნებაზე —**ივ. გომართელი**; წერილი პროვინციიდან.

# ჩ ი ნ ე თ ი*)

შორეულ აღმოსავლეთ აზიაში მდებარეობს უზარმაზარი ქვეყანაა თავისი უძველესი თავისებური და სრულიად დამოუკიდებელი კულტურით. ეს კულტურა, როგორც საზოგადოდ ძველი კულტურა, ემყარებოდა მიწის მეურნეობას.

სოფლის მეურნეობის განვითარებას აქ ძლიერ უწყობდა ხელს მიწის მორწყვის საუკეთესო სისტემა, რასაც უხსოვრის დროდან მისდევდა ჩინეთის ხალხი, რომელიც ამ საქმისთვის ჩინებულად სარგებლობდა ქვეყნის გეოგრაფიული და ფიზიკური მდგომარეობით და მდინარეების სიმრავლით. აქაური მდინარეების შლამი მეტისმეტად ანოყიერებს მიწას და ერთი ათად აჯილდოებს მეურნის შრომას.

ყოველ ამას დაუმატეთ ჩინეთის ბუნებრივი მდებარეობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ის თითქმის ყოველი მხრიდან დაცულია მთებითა და ზღვით სხვა სახელმწიფოებიდან და თქვენ აშკარად მიხვდებით, რომ ამ ბუნებრივად განცალკევებულ ქვეყანაში უნდა შექმნილიყო სრულიად განცალკევებული და თავისებური, წმინდა ჩინური კულტურა და ცივილიზაცია. და მართლაც ეს უზარმაზარი სახელმწიფო რაღაც ისტორიულ საიდუმლოებით მოცული იდგა მარტოთ-მარტო, სხვა სახელმწიფოებისა და სხვა კულტურის გავლენის გარეშე, ისე რომ მე-XIV საუკუნის მიწირულამდე მას ერთობ ნაკლებათ იცნობდა დანარჩენი კაცობრიობა. ამ რიგად, ჩინეთი, გეოგრაფიულად და ფიზიკურად მოწყვეტილი სხვა ქვეყნების გავლენას, მდიდარი თავისი ბუნებრივი პირობებით, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ადვილად უმკლავდებოდა გარეშე კულტურის ტალღებს. სამაგიეროდ მარტო თავისი საკუთარი კულტურის შემყურე, მოკლებული სხვა კულტურულ ქვეყნების მაგალითებს, მოკლებული სხვადასხვა ცივილიზაციასთან ბრძოლის იმპულს, ჩინეთი, შეგუბებულ მდინარეს წარმოადგენდა, ის ძლივს მიიზლაზნებოდა წინ და საუკუნეთა განმავლობაში ერთ ნაბიჯს თუ გადადგამდა პროგრესისა და კულტურის გზაზე.

ჩინეთის ასეთი პირველყოფილი კულტურის არსებობა შესაძლებელი იყო იმ დროს, როცა ყველა სხვა ქვეყნები ჩამორჩენილი იყო და ასეთივე ნელის ტემპით მიდიოდენ წინ. მაგრამ ევროპაში კაპიტალიზმის აღორძინებას თან უნდა მოყოლოდა ჩინური კედლების გარღვევა და იქ კაპიტალის შეჭრა და ეს ასეც მოხდა: ევროპიელი ვაჭრები შეიქნენ ის უძლეველი ძალა, რომელმაც მოხერხებულად, უსისხლოდ და უომრად ნელ-ნელა შეაღო ჩინეთის კედლის კარები და ბოლოს მთელი მისი სიმდიდრის ხელში ჩაგდება მოიწადინა.

მე-XVI საუკუნის მიწურულიდან პორტუგალიის, ინგლისის და საფრანგეთის მეზღვაურები და ვაჭრები განუწყვეტლათ იბრძოდენ ამ ძველ ქვეყნის და მისი ვაჭრობის ხელში ჩასაგდებად და მალე მიზანსაც მიაღწიეს: შეიჭრენ ჩინეთში და დაუკავშირეს იგი ევროპისა და აზიის ქვეყნების სავაჭრო სისტემას.

მაგრამ ჩინეთში ნამდვილი შესვლა, მისი უზარმაზარი - კედლების და დახავსებული ზღუდეების გარღვევა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა მოახერხეს მე-19 საუკ. პირველ ნახევარში. ამ საქმეში პირველობა ინგლისის მეზღვაურებს და ვაჭრებს ეკუთვნის. იმ ცნობილ ომის შემდეგ, რომელიც მოხდა ოპიუმით ვაჭრობის ხელში ჩაგდების მიზნით (1840 წ.) ინგლისელებმა შეინარჩუნეს გონკონგი და დღესაც სარგებლობენ თავის მონოპოლიური მდგომარეობით ოპიუმით ვაჭრობის საქმეში.

აი ამ მომენტიდგან ინგლისელები აძლიერებენ ჩინეთთან ვაჭრობას. აქედან იწყება მთელი რიგი ხელშეკრულებისა. აქედან იწყება ევროპიული სახელმწიფოების უფრო ენერგიული მოქმედება ჩინეთში. აქედან იწყებს აღორძინებას ჩინეთში კაპიტალისტური კულტურა.

უცხოელი კაპიტალისტების ყურადღებას თანდათან

*) ამ წერილის დაწერის დროს ვსარგებლობდი ამხ. ბუხარინის წიგნით „კაპიტალიზმის სტაბილიზაცია“ და ხარიბინის „მსოფლიო გეოგრაფიით“.

იპყრობს ჩინეთის ბუნებრივი სიმდიდრე. ისინი სრულიად მოურიდებლად იჭრებიან ჩინეთში და კონცესიების სახით იგდებენ ხელში რკინის გზებსა და სხვა ტეხნიკურ მოწყობილობების საქმეებს. იმ დროს, როცა ცხოვრებას ჩამორჩენილი ჩინეთის ხალხი ძლივს ახერხებს თავის ბაღ-ბოსტანის მოვლასა და პატრონობას, როცა მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს თავისი საკუთარი მიწა-წყალის სიმდიდრის შესახებ, ევროპის კაპიტალი უკვე იგდებს ხელში ამ აღურაცხელ სიმდიდრეს. აბა რა იცოდა კულტურულად ჩამორჩენილმა ჩინეთის ხალხმა, რომ მის სამშობლოში, მისი მიწის წიაღში იმყოფება ნახშირის, კაპიტალიზმის განვითარების ამ უდიდესი იარაღის აღურაცხელი მარაგი. აბა რას წარმოიდგენდა ჩინეთის ხალხი, რომ ჩინეთის ნახშირის რაოდენობა უდრიდა დაახლოვებით მთელი მსოფლიოს ნახშირის მარაგის ¼, რომ იგი საუკეთესო თვისების იყო. აბა რას დაგიდევდათ იგი, რომ ეს მისი უდიდესი სიმდიდრე თავმოყრილი იყო ოკეანეს ნაპირებზე, რაც ასე აადვილებს მის გატანას სხვადასხვა ქვეყნებში.

გარდა ნახშირისა ჩინეთს აქვს აუარებელი მარაგი რკინის მადანისაც. მარტო შადუნის ნახევარ კუნძულზე, სპეციალისტების გამოკვლევით, შეიძლება მიღება 100 მილიონი ტონი რკინისა, აქაური მადანი იძლევა დაახლოებით 65% წმინდა რკინას. ჩინეთი მდიდარია სურმით, ტყვიით, კალით, ნავთით და სხვადასხვა. ის მდიდარია ჩაის კულტურით, რაშიაც მას მთელ მსოფლიოში მოქიშპე არა ყავს. ჩინეთი იძლევა აუარებელ ნედლ მასალას. ყველა ამ ბუნების სიუხვეს მიუმატეთ საზღაპრო იაფი, ადამიანის თითქმის მუქთი სამუშაო ძალა (ჩინეთში ღარიბი, 4 სულიდგან შემდგარი ოჯახი საშუალო რიცხვით ხარჯავს ოც შილიგს ან ხუთ მანეთს თვეში).

ყველა ამის შემდეგ, რასაკვირველია, რომ, მსოფლიო იმპერიალიზმმა, რომელმაც კარგა ხანია რაც გაუცნო გემო ამ ბუნებით დაჯილდოვებულ „უპატრონო“ ქვეყანას, ხელი მიყო მის ექსპლოატაციას.

საფრანგეთმა ანექსია უყო ინდო-ჩინეთს და შეიჭრა ჩინეთში სამხრეთის ხაზით. ინგლისმა მიითვისა ჩინეთის პროვინცია ზემო ბირმა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში დაამყარა თავისი პროტექტორატი ტიბეტზე. იმპერიალისტური რუსეთი გამაგრდა მანჯურიაზე. ჩრდილო-ამერიკამ დაამარცხა ომში ესპანეთი და დაეპატრონა ფილიპინის კუნძულებს.

ამნაირათ, მოხდა ყველა ზემოჩამოთვლილი იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩინეთზე შესევა. ეს შესევა ხდებოდა ნელის ნაბიჯით, თანდათანობით. ამავე დროს კაპიტალისტურმა ეკონომიკამ თანდათან მოიკიდა ფეხი ჩინეთის სინამდვილეში, რასაც ადასტურებს ქვანახშირის დამუშავების და მისი მიწის წიაღიდგან ამოღების შემდეგი სტატისტიკური ცნობები: 1913 წ. ჩინეთში ამოღებული იქნა 14.000000 ტონი ქვა-ნახშირი, 1914 წ. 15.000.000 ტონი; 1915 წ. 15.440,000 ტონი; 1916 წ. 15.584.000 ტონი; 17 წ. 17.205.000 ტონი; 1918 წ. 18.033.000 ტონი; 1919 წ. 19.387.000 ტონი; 1920 წ. 20.381.000 ტონი; 1921 წ. 19.872.000 ტონი; 1923 წ. 22.681.000 ტონი; 1924 წ. 23.711.000 ტონი.

საინტერესოა ვიცოდეთ სხვადასხვა სახელმწიფოს როლი წარმოების ამ დარგში. ჩინეთის ნაციონალური კაპიტალის მონაწილეობა გამოიხატება 50 მილიონ დოლარით; ინგლისის 22 მილ. დოლარით, იაპონიის 27½ მილ. დოლარით, გერმანიის კი 250 ათასი დოლარით. აქედან ცხადია, რომ ამ საქმეში დაბანდებული კაპიტალის თითქმის 50% ეკუთვნის არა ნაციონალურ ბურჟუაზიას, არამედ უცხოელებს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ, ფაქტიურათ ეს წარმოებანი, რომლებიც ჩინელ კაპიტალისტების ფირმით, მუშაობს, ეკუთვნის უცხოელებს, რადგან აქციების დიდი უმრავლესობა მათ ხელშია.

უფრო ნელის ტემპით სწარმოებდა რკინის მადნების დამუშავება. ვნახოთ რამდენი რკინა გაუტანიათ უცხოეთში 1917 წლიდან 1924 წლებში:

1917 წ. გაუტანიათ 309.107 ტონი; 1918 წ. 378.500 ტონი; 1919 წ. 640.159 ტონი; 1920 წ. 681.660 ტონი; 1921 წ. 514.888 ტონი; 1923 წ. 727.603 ტონი; 1924 წ. 846.833/ტონი. აქვე უნდა ვთქვათ, რომ რკინის გავრცელებაში ბატონობს იაპონიის კაპიტალი.

უფრო ჩქარის ნაბიჯით ხდებოდა საქსოვი სამრეწველოს განვითარება. 1891 წ. საქსოვი ფაბრიკა იყო მხოლოდ 2, 2100 „სტანოკითა“ და 65.000 ჯარათი; 1902 წ. ფაბრიკა 7, „სტანოკი“ 3.500, ჯარა 565.000; 1916 წ. იყო ფაბრიკა 42 70000 „სტანოკითა“ და 1.154.000 ჯარათი. 1923 წ. იყო 190 საქსოვი ფაბრ., 18000 „სტანოკითა“ და 3.182.579 ჯარათი.

ამ მრეწველობის 61 პროც. ეკუთვნის ჩინელ კაპიტალისტებს, იაპონელებს—34 პროც., ინგლისელებს—5 პროც.

1923—24 წ.წ. ამ წარმოებაში დიდი კრიზისი იყო და ამის გამო საგრძნობი ნაწილი ამ დარგის ქარხნებისა გადავიდა იაპონელების ხელში.

რომ შედარებით მთლიანი სურათი ვიქონიოთ ჩინეთის მრეწველობის განვითარებაზე, გადავავლოთ თვალი მისი საგარეო ვაჭრობის ზოგიერთ ციფრებს:

იმპორტი უდრიდა: 1915 წ. 454.475.719; 1916 წ. 516.406.995; 1917 წ. 549.518.774; 1918 წ. 554.893.082; 1923 წ. 923.402.887; 1924 წ. 1.018.210.677.

ექსპორტი უდრიდა: 1915 წ. 418,861,164; 1916 წ. 481,797,366; 1917 წ. 462,931,630, 1918 წ. 485,883,031; 1923 წ. 752,917,416; 1924 წ. 771,784,468 (ოქროთი 1—50 კ.).

ჩინეთის იმპორტის საქმეში სხვადასხვა სახელმწიფოების მონაწილეობის სურათი შემდეგია: 1870 წ. ინგლისის—37,0 პროც., შეერთებულ შტატების—0,57 პროც., იაპონიის—1,95 პროც.

1880 წ.: ინგლისს—26,9 პროც., შეერთებული შტატების—1,47 პროც., იაპონიის—4,3 პროც.

1890 წ.: ინგლისის—19,0 პროც., შეერთებულ შტატების—2,87 პროც., იაპონიის—5,75 პროც.

1900 წ.: დიდი ბრიტანეთის 20,5 პროც., იაპონიის—12,6 პროც., შეერთებულ შტატების—7,5 პროც.

1910 წ.: დიდი ბრიტანეთის—14,8 პროც., შეერთებულ შტატების—5,2 პროც., იაპონიის—16,1 პროც.

1913 წ.: დიდი ბრიტანეთის—16,5 პროც., იაპონიის—22,5 პროც.

1923 წ.: დიდი ბრიტანეთის—13,0 პროც. შეერთებული შტატების—16,7 პროც., იაპონიის—22,9 პროც.

ეს ციფრები ცხადად გვეუბნებიან, რომ ჩინეთი საფუძვლიანათ შესდგა კაპიტალისტურ განვითარების ნიადაგზე, რომ იქ, არსებობს ნაციონალური კაპიტალი და მისი მატარებელი ნაციონალური ბურჟუაზია. ეს ციფრები გვაჩვენებენ აგრეთვე იმას, რომ ეს ბურჟუაზია სუსტია.

მაგრამ რამდენად სუსტია ჩინეთის ნაციონალური ბურჟუაზია, იმდენად ძლიერია ჩინეთის მუშათა კლასი, პროლეტარიატი. ის მრავალ რიცხოვანია. ის იძულებულია ბრძოლა აწარმოვოს არა მარტო თავისი ნაციონალურ კაპიტალთან, არამედ კიდევ უფრო მეტად გარეშე კაპიტალთან და ბურჟუაზიასთან. როგორც ვიცით, ამჟამად ჩინეთში უდიდესი რევოლიუციონური მოძრაობა სწარმოებს.

რა ხასიათისაა ეს მოძრაობა? როგორი სოციალური ძალები იღებენ მასში მონაწილეობას და არსებობს თუ არა ამ მოძრაობაში საზოგადოებრივი ძალების სოლიდარობა განსაზღვრულ მიზნების მისაღწევათ?

ასეთი ერთობა არსებობს. რა მიზნებს ისახავს ჩინე-
ასეთი ერთობა არსებობს. რა მიზნებს ისახავს ჩინეთის რევოლიუცია? ის მიზნად ისახავს ჩინეთის ნაციონალურ **განთავისუფლებას**. ჩინეთი ნახევრათ კოლონიალური ქვეყანაა, იქ იმპერიალიზმი უსაზღვრო ექსპლოატაციას აწარმოებს, უცხო კაპიტალი მონობის უღელს ადგამს კისერ-

ზე ჩინეთის ყველა კლასებს და წოდებებს, გარდა ჩინეთის ფეოდალებისა და მილიტარისტებისა. ამიტომაც ჩინეთის რევოლიუცია უპირველეს ყოვლისა იმპერიალისტების წინააღმდეგ არის მიმართული. **„ჩინელებისა და ძაღლების ბაღში შემოსვლა აკრძალულია“**—ასეთი წარწერა არსებობდა ჩინეთის იმ ქალაქებში, სადაც სცხოვრობენ ევროპიელები და აქვთ მათთვის გაშენებული ცალკე უბნები. ამას კომენტარიები არ ესაჭიროება. იმპერიალიზმიდგან განთავისუფლება უახლოესი მიზანია ჩინეთის რევოლიუციისა. გარდა ამ მიზნისა ეს რევოლიუცია ისახავს დემოკრატიულსა და აგრარულ საკითხებსაც. ჩინეთი უაღრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. აქ მიწის საკითხი თუ გლეხების სასარგებლოთ არ მოწესრიგდა, ისე ვერც ჩინეთის მოძრაობა დაბოლავდება კარგად.

საზოგადოებრივი კლასების მიხედვით ჩინეთში მიწა განაწილებულია შემდეგნაირად: აქ პარაცელიარული მეურნეობა შეადგენს მთელი მეურნეობის 15,9%, წვრილი მეურნეობა—22,8%, საშუალო—25,4%, მსხვილი კი—35,9%.

ჩინეთში ითვლება 300.000 მემამულე, რომელსაც საშუალო რიცხვით აქვს 1000-დან 10.000-მდე მუ მიწა (ერთი მუ უდრის დაახლოებით ერთ მეთექვსმეტედ დესეტინას ანუ 150 ოთხკუთხედ საჟ. მიწას). ჩინეთის ფეოდალები ეს უმთავრესათ იგივე ვაჭრები, იგივე მოხელეები და გენერლობაა, რომლებიც ფლობენ ამა თუ იმ პროვინციას, იღებენ ხალხიდან სხვადასხვაგვარ გადასახადებს წინდაწინ, ოთხი—ხუთი წლისას ერთად.

აი სწორედ ამ გენერლებს, მემამულე ვაჭრებსა და მათ წოდებას ეყრდნობა უცხოელი იმპერიალიზმი რევოლიუციის საწინააღმდეგო ბრძოლაში. ჩან-ძო-ლინი ჩინეთის ფეოდალური წრეების წარმომადგენელია. ჩინეთის რევოლიუცია პირველ ყოვლისა მიმართულია ამ ფეოდალების წინააღმდეგ. ეს გენერლები აწარმოებენ ურთიერთ შორის ბრძოლას, ანადგურებენ ამ ბრძოლაში ჩინეთის ეკონომიურ დოვლათს. გლეხკაცობა ამ მიზეზით ღატაკდება სულიერად და ქონებრივად; ის მუდამ სიმშილს განიცდის, მისთვის სიცოცხლეს უკვე დაუკარგავს ღირებულება, მისთვის სულ ერთია სად მოკვდება. სიმშილით სიკვდილს კიდევ ომში სიკვდილი ურჩევნია და მიდის ამ ომებში. ეხმარება რომელიმე მილიტარისტულ გენერალს და იღებს მისგან ფულს. ასეთ დაქირავებულ ჯარისკაცებიდგან შესდგება ამ ავანტიურისტი ღენერლების ლაშქარი. ეს ღენერლები ფინანსიური და ტეხნიკურ დახმარებას იღებენ უცხოეთის სახელმწიფოებიდგან.

ჩინეთის ბურჟუაზია, რასაკვირველია, წინააღმდეგია უცხოეთის ბურჟუაზიისა, რადგან ეს უკანასკნელი ეცილება მას ჩინელი ხალხის ექსპლ. საქმეში. ამიტომაც იმპერიალისტებთან ბრძოლაში ჩინეთის ბურჟუაზია, ჩინეთის რევოლიუციასთან იყო. მაგრამ ეს იმ დრომდის, სანამ ჩინეთის მშრომელი მასები კლასობრივად დაირაზმებოდენ, სანამ მათი მოძრაობა მარტო გარეშე მტრების წინააღმდეგ იყო მიმართული. როცა ამ მოძრაობამ გარდა წმინდა ნაციონალურისა კეონომიური და სოციალური მოთხოვნილებაც დაისახა მიზნად, წითელ აჩრდილით დამფრთხალი ბურჟუაზია ჩამოშორდა რევოლიუციას და პირი იბრუნა იმპერიალისტებისაკენ. ბურჟუაზიამ მოახდინა გადატრიალება ნაციონალურ მთავრობაში, მუშებს იარაღი აყარა, ხელი მიყო მუშური ორგანიზაციებისა და კომუნისტური პარტიის დარბევას. ჩან-კაი-შის ღალატი ნიშნავს ჩინეთის მსხვილი ბურჟუაზიის იმპერიალისტებისკენ გადასვლას.

მაგრამ ჩინეთის რევოლიუცია მაინც თავის გზით მიდის: წვრილი ბურჟუაზია, ჩინეთის გლეხკაცობა და პროლეტარიატი განაგრძობენ რევოლიუციის გზას. ამიტომ ამ დიადი ბრძოლის უახლოესი მიზანი შეიძლება გამოიხატოს შემდეგ მიზნებში: **ნაციონალური განმათავისუფლებელი რევოლიუცია**. აქ ეს მოძრაობა ისახავს მიზნათ მთელი ჩინეთის გაერთიანებას და მისგან ერთი ცენტრალური სახელმწიფოს შექმნას. ამ მოძრაობამ, უნდა გამოიყვანოს ჩინეთის ხალხი ნახევრათ ფეოდალურ მდგომარეობიდგან. ჩინეთის რევოლიუცია არის ბურჟუაზიული, დემოკრატიული რევოლიუცია იმდენად, რამდენადაც ეს მოძრაობა მიმართულია ფეოდალური ნაშთების და საშუალო საუკუნოების ნაშთების წინააღმდეგ. მაგრამ შესაძლებელია ჩინეთის რევოლიუცია ბურჟუაზიული დემოკრატიის ხაზს გასცდეს და იქცეს მშრომელი მასსების ნამდვილ მოძრაობათ. თავისებურობა ჩინეთის მოძრაობისა იმაშიც გამოიხატება, რომ, ამ ქვეყანაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩინეთის მუშათა კლასი, თავის ნაციონალურ ბურჟუაზიასთან შედარებით, ორგანიზაციულათ ჩამოყალიბებულ და კლასიურათ დარაზმულ ძალას წარმოადგენს. იმავე დროს ნაციონალური ბურჟუაზია ძლიერ სუსტი და ორგანიზაციულათ ჩამოუყალიბებელია. ბურჟუაზიის ძალები დაქსაქსულია, იმათ ერთმანეთისაგან აშორებს გარკვეული მატერიალური ინტერესები. ნაციონალური ბურჟუაზია იმავე დროს, წინააღმდეგია უცხოეთის ბურჟუაზიისა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ფაქტიურათ თითქმის განაგებს ჩინეთის კაპიტალისტურ ეკონომიკას. ჩინეთის მსხვილი წარმოება, რკინის გზები, საბაჟოები და სხვა ამათი კაპიტალი არსებობს და მგების სამი მეოთხედიც მათ ჯიბეში მიდის.

ზემო ნაჩვენები შეფასება მდგომარეობისა თითქოს ირღვევა იმ ფაქტებით, რომელიც ამ ახლო წარსულში მოხდა. მე მხედველობაში მაქვს **ჩან-კაი-შის გადატრიალება**. აქ ბურჟუაზიამ თითქოს გაემიჯნა რევოლიუციას. მაგრამ ეს აგრე არ არის. ნაწილი მსხვილი ბურჟუაზიისა მართალია დაადგა ამ გზას, მაგრამ ის აქ გარიყული აღმოჩნდა. მსოფლიო იმპერიალიზმმა **ჩან-კაი-ში** არ იცნო, როგორც თავისი დასაყრდნობი მატერიალური და სამხედრო ბაზა; იმას ყავს **ჩან-ძო-ლინი**; ამიტომ ის კრედიტს ჩან-კაი-შის მთავრობას არ აძლევს. კიდევ მეტი: ჩან-კაი-შის არ სცნობს თვით კანტონისა და ნანკინის ვაჭარ-მრეწველები და ბანკირები, რომლებიც არ იღებენ მისი მთავრობის ფულს.

აქედან შეიძლება ასითი დასკვნა გავაკეთოთ: ჩანკაი-ში საბოლოო ანგარიშით მივა ჩან-ძო-ლინთან და ამით მხოლოდ ერთი ღენერალი მიემატება ფეოდალ-მილიტარისტებს.

ეს ფაქტი მოწმობს აგრეთვე იმას, რომ გომინდანს ჩამოშორდა მსხვილი ბურჟუაზია, მაგრამ მასთან დარჩენ და ჩან-კაი-შის მოღალატეობის შემდეგ კიდევ უფრო შემჭიდროვდენ ერთი მიზნის ირგვლივ საშუალო და წვრილი ბურჟუაზია, მრავალ რიცხოვანი გლეხკაცობა და მუშათა კლასი. ჩან-კაი-შის მოღალატეობის შემდეგ ეს რევოლიუციის ერთგული დარაჯები უკვე გადავიდენ შეტევაზე; ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ რევოლიუციონურმა ჯარებმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს: მათ იარაღი აყარეს ფეოდალ-მილიტარისტების 10.000 ჯარისკაცს. ეს ფაქტიც იმას მოწმობს, რომ ჩინეთის რევოლიუცია შესძლებს ჩინეთის განთავისუფლებას, ის შესძლებს ზემოთ დასახელებულ მიზნების განხორციელებას.

**ალ. ხელაძე.**

# მეურნეობის საკითხები

მთელი კავშირის პოლიტიკაში დღეს მეურნეობის საკითხებს ცენტრალური ადგილი უჭირავს. ხელისუფლების ყველა ორგანოების ყურადღებაც აქეთ არის მიქცეული. ეს ადვილი გასაგებიცაა: სოციალიზმის მუშაობა ამ სფეროშია საჭირო, რადგან თვით სოციალიზმი სწორედ სახალხო მეურნეობის გარდაქმნას ნიშნავს. უდაოა ის დებულებაც, რომ სოციალიზმის დამყარება შეუძლებელია ინდუსტრიალიზაციის გარეშე, რომელიც უნდა გაბატონდეს მეურნეობის ყველა დარგებში. ეს არის მისი საფუძველი და აქედან დაიწყება სოციალიზმის ხორცის შესხმა.

აშკარაა ისიც, რომ ჩვენს პირობებში სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგ პროლეტარიატის

მთავარი საზრუნავ საგანს მეურნეობის ინდუსტრალიზაცია უნდა შეადგენდეს, რადგან ამ მხრით ჩვენ ძალიან უკან ჩამორჩენილი ვართ.

მართალია, უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა, ბევრს ახალს და საიმედო საქმეს ჩაეყარა საფუძველი და წინანდელთან შედარებით დიდი მიღწევებიც გვაქვს, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დიდი საქმის დასაწყისია. მთავარი შრომა ამ ფრონტზე წინ არის.

ამიტომ, ჩემის აზრით, არ იქნება ზედმეტი ერთხელ კიდევ შევაჩეროთ ამ კითხვებზე ჩვენი მკითხველის ყურადღება და გავარკვიოთ საიდან და რა მხრით უნდა მივუდგეთ საქმეს, რომ უფრო მალე ავამუშაოთ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობანი, დროზე გამოვიყენოთ მისი სიმდიდრეხი.

კითხვის ასე დაყენებას, გარდა საერთო მისწრაფებისა, რომ ჩქარა განხორციელდეს ჩვენი საბოლოო მიზანი, იწვევს ის გარემოებაც, რომ ყოველ გარდამავალს და გარდატეხის ხანას თავის ტკივილები დაყვება (ეს საზოგადო კანონია), და სასურველია ამ ტკივილების შემსუბუქება. ეს კი შეუძლია მხოლოდ მეურნეობის აღორძინებას.

ყველასთვის აშკარაა, რომ რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ საბჭოთა კავშირი დიდ სოციალურ ცვლილებებს განიცდის: ხდება საზოგადოებრივ ფენების გადაჯგუფება, წარმავალი კლასების გაქრობა, ხოლო ფიზიკურ არსებათა პსიხოლოგიური და მორალური გადახალისება და ახალ პირობებთან შეგუება. აშკარა და ნათელია უკვე მომხდარი დემოკრატიზაცია საზოგადოებისა. აშკარაა აგრეთვე ისიც, რომ ძველი დროის შემოტრიალებაზე დღეს სერიოზულად არავინ ფიქრობს. ხალხი ჩაბმულია ახალ ცხოვრებაში; იგი გამოდის იმ ახალი წყობილებიდან, რომელიც დღეს არსებობს; მას ეგუება და აქ, ამ წყობილების ფარგლებში ეძებს თავის ადგილს.

ამით არ მინდა ვთქვა, რომ დღევანდელი წყობილებით უკმაყოფილო, და შეიძლება მასთან შეურიგებელიც არ მოიპოვებოდეს, მაგრამ ამისთანეები მხოლოდ გამონაკლისს შეადგენენ.

ამიტომ ხელისუფლების ერთ-ერთ საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს ისიც, რომ ამ გადახალისებულ ჯგუფებს მისცეს საშუალება ცხოვრებაში თავისი ადგილი იპოვონ და თავისი მარჯვენით და ქვეყნისთვის სასარგებლო შრომით შეინახონ თავი. ეს, რასაკვირველია, სხვათა შორის.

ამ კითხვებზე მსჯელობის დროს არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ საბჭოთა კავშირს როგორც სახელმწიფოს, რომელიც გარშემორტყმულია ყოველმხრიდან თუ აშკარა მტრებით არა, პრინციპიალური მოწინააღმდეგებით მაინც,—ბევრი ისეთი მოვლენისა და გარემოებისათვის უხდება ანგარიშის გაწევა, რომელიც მეურნეობის განვითარებას არ უწყობს ხელს და მეურნეობის გარეთ აბანდებინებს მას ენერგიას და რესურსებს. მაშასადამე კიდევ უფრო მეტი მიზანშეწონილათ, მეტი მომზადებით და მეტი მომჭირნეობით უნდა სწარმოებდეს მუშაობა სამეურნეო ფრონტზე.

ამ წინასწარ მოსაზრებათა შემდეგ საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რით განსხვავდება ჩვენი დღევანდელი მეურნეობა წინანდელისაგან. რა არის მისი დამახასიათებელი თვისება.

წინანდელი მეურნეობა დაყრდნობილი იყო კერძო საკუთრების პრინციპებზე და კერძო პირთა თაოსნობაზე, ე. ი. იგი იყო მეურნეობა ბურჟუაზიული თუმცა მას თან ახლდა და მძიმე ტვირთად აწვებოდა ფეოდალური ხანის ნაშთები. თვით სახელმწიფო, მიუხედავათ თავისი ავტოკრატიულ - არისოკრატიული წყობილებისა. მფარველობდა და თავის რესურსებით ეხმარებოდა ამ ბურჟუაზია, თუმცა იმავე დროს ცდილობდა არაფერი ვნება არ მიყენებოდა წარჩინებულ წოდებას. მართალია, უკანასკნელი საბოლოოთ განწირული იყო ისტორიისაგან და ფეხს ვერ იმაგრებდა უკვე ფეხმოდგმულ კაპიტალისტურ წყობილებაში, მაგრამ მით უფრო დიდი იყო სახელმწიფოს ან უკეთ ვთქვათ სახალხო ქონებიდან მათ სასარგებლოთ გაღებული მსხვერპლი და მით უფრო მეტი იყო სახელმწიფოს ზარალიც.

1917 წლის რევოლიუციაში ეს წოდება საბოლოოდ განადგურდა. მაგრამ მის მემკვიდრეთ გამოსულმა ბურჟუაზიამაც ველარ მოიმაგრა ფეხი, თავისი უსუსურობის გამო და ძალაუფლება მუშათა კლასმა აიღო ხელში.

ახალმა ხელისუფლებამ პირველყოვლისა გააუქმა კერძო საკუთრება მიწაზე, ტყეზე, მიწის წიაღზე, წყლის ძალაზე; გადასცა სახელმწიფოს მსხვილი მრეწველობა, ტრანსპორტი, კრედიტის საქმე, საშინაო ვაჭრობის დიდი ნაწილი; დააწესა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და თვით ჩაება მეურნეობაში უშუალოდ. ეს კი ისეთ ძირითად ცვლილებებს წარმოადგენს, რომ სხვა დროს თითო მათგანი იკმარებდა თითო რევოლიუციად. ამან გაავლო ზღვარი წარსულსა და აწმყოს შორის.

აქ იწყება უმთავრესი თვისებრივი განსხვავება ძველსა და ახალს შორის.

თუ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თითქმის მთელი მეურნეობა კერძო თაოსნობაზე იყო მინდობილი, ახალში ეს შეუძლებელი გახდა. თუ იქ საზოგადოთ მეურნეობის და კერძოთ მრეწველობის მომწესრიგებელი თავისუფალი ბაზარი და კონკურენცია იყო, აქ ეს დაუშვებელი შეიქნა. ამ განსხვავებათაგან გამომდინარეობს ახალი მეურნეობის დამახასიათებელი თვისება. ამაზე შემდეგ.

ნ. ელიავა.

# ჩინეთის მიმოხილვა

ჩან-კაი-შის ფიზიონომია დღითი დღე უფრო ნათლად აშკარავდება. მან ჩინეთის ხალხს ზურგიდან ჩასცა მახვილი. მისი ჯალათები დღესაც ენერგიულად განაგრძობენ გომინდანის ბელადების ხვრეტას, დევნას, და დაპატიმრებას; არ ინდობენ რევოლიუციონერთა ოჯახის წევრებსაც კი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს თავისი ხალხისა და რევოლიუციის მოღალატე მაინც ბედავს თავის მართლებას, მას დღესაც თავი მოაქვს ჩინელი ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლ გმირათ, რისი დამამტკიცებელია მისი განცხადება ჩინეთის „ეროვნული სირცხვილის“ დღეს, რომელიც გაიმართა შანხაიში მუშების დახვრეტის წლის თავზე; ამ ვაჟბატონმა უტიფრათ განაცხადა, რომ მას და მისი მთავრობა (ნანკინის) ამოძრავებს სამი პრინციპი: იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის დამხობა, მეგობრული კავშირი საბჭოთა რუსეთთან და მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება; მაგრამ სამივე ეს პრინციპი დიდი ხანია რაც ფეხქვეშ გასთელა ჩან-კაი-შიმა. დღეს მისი პოლიტიკა ნათელია ჩინეთის ხალხის იმ ნაწილისათვისაც, რომელიც მან მოტყუებით ჩაითრია ღალატის მორევში; ეს „გმირი“ არამც თუ იბრძვის მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის დასამხობათ, არამედ უკანასკნელათ სულ მოექცა მათ მეთაურთა ბანაკში, რასაც ნათლად ამოწმებს მისი კავშირი მუკდენელების პარტიასთან და მის მილიტარისტებთან და მისი მონაწილეობა გომინდანის მემარჯვენეებთან ერთად ჩინელ იმპერიალისტების მთლიან ფრონტის შექმნის საქმეში.

მაგრამ თუ ასე მწყობრათ მიმდინარეობს ჩინელ იმპერიალისტების დარაზმვა, სამაგიეროთ ირღვევა უცხო იმპერიალისტების მთლიანი ფრონტი, რომელსაც მეთაურობდა ჩემბერლენის ინგლისი; მას განზრახვა ჰქონდა უცხოელ სახელმწიფოების სახელით გაეგზავნა ნოტა უხანის მთავრობისათვის ნანკინში მომხდარ ამბების გამო, მაგრამ ამერიკამ უარი განაცხადა, რის შემდეგ საფრანგეთმა და იაპონიამ უკანვე წაიღეს თავისი დაპირება და ამგვარათ ინგლისის მთავრობამ საბოლოოთ უარყო მეორე ნოტის გაგზავნა.

არც სხვა მხრივ არის ჩან-კაი-შის მდგომარეობა სახა-

რბიელო: მეტად მძიმე და კრიტიკულ მდგომარეობაშია მისი ფინანსიური საქმე. ბანკირებმა უარი უთხრეს მას სესხის მიცემაზე. ვაჭრებიც არ ღებულობენ ჩან-კაი-შის ფულს. რაც შეეხება მისი ჯარების სრულ დეზორგანიზაციას, უკანასკნელათ მიღებული ცნობებით, ეს ეხლა უდაო ფაქტია. მაგრამ თუ იშლება მისი ჯარი, სამაგიეროდ ძლიერდება ჩინეთის რევოლიუციონური ლაშქარი, რომელსაც აძლიერებს გლეხთა ახალ-ახალი რაზმები. საერთოდ გლეხთა მოძრაობამ ჩინეთში ამ ბოლო დროს განსაკუთრებით მასიური ხასიათი მიიღო. გლეხთა აჯანყების სტიქია არ ზოგავს არავის: ხენანში აჯანყებულებმა—ძალით ჩამოართვეს მემამულეებს მიწები, აპატიმრებენ ქრისტიან მისიონერებს, რომლებსაც ბრალს სდებენ მილიტარისტებთან კავშირში, აჯანყებულებმა მოკლეს რამოდენიმე კაცი კონტრ-რევოლიუციონურ პრაკლამაციების გავრცელებისათვის, მათ სრულიად გაანიარაღეს აგრეთვე პუანის რაიონში ჩან-კაი-შის რეგულიარული ჯარის ნაწილები. საერთაშორისო მუშათა კლასის რისხვაც მეტად ძლიერდება ჩინეთის რევოლიუციის მოღალატეთა წინააღმდეგ: ფაშისტების აღლუმის („ფოლად მუზარადის") წინააღმდეგ გერმანიაში და ნიუ-ორკში მსოფლიო პროფმოძრაობის სასარგებლოთ გამართულმა დემონსტრაციებმა ერთხელ კიდევ დაგმეს ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ მომქმედი ძალები; მრავალრიცხოვან დემონსტრატორების ლოზუნგი იყო: „ხელები შორს ჩინეთისაგან". თუ ასე გაგრძელდა, შორს არ არის ის დრო, როცა ჩან-კაი-შს ეწვევა ისეთი შედეგი, როგორიც უწინასწარმეტყველა მას ნაციონალურ მთავრობის მინისტრმა სუნ-ფომ (სუნ-იატ-სენის შვილმა: „ჩან-კაი-შის მდგომარეობა უიმედოა. ჩვენ არ ვფიქრობთ დაუყონებლივ თავს დავესხათ მას, ვინაიდან მისი ძალა-უფლება თავისთავად ეცემაო". მიუხედავად მისი ასეთი უნუგეშო მდგომარეობისა ის გულს მაინც არ იტეხს და კვლავ განაგრძობს ახალ-ახალ იერიშებს რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ. მაგრამ ეს არის სასიკვდილოდ გამზადებულ ორგანიზმის უკანასკნელი ამოსუნთქვა.

ჩან-კაი-შისათვის არა სასარგებლო მდგომარეობაა აგრეთვე ფრონტებზედაც: წარსულ კვირაში, მეტად საიმედო ცნობების მიხედვით, რევოლიუციონურ ლაშქარს ყოველ საომარ რაიონებში: ძიუძიანში, გუან-დუნის პროვინციაში და სხვაგან წილად ხვდა ახალ-ახალი გამარჯვებები. გარდა ამისა, მიუხედავად მუკდენის არმიის ზოგიერთი ნაწილების სასტიკ წინააღმდეგობისა, ნაციონალური ჯარი ენერგიულად ამაგრებს პოზიციებს პეკინისკენ შესატევათ, რისთვისაც წინასწარი სამზადისი თითქმის დასრულებულია. მაისის 8-ს ნაწილობრივი შეტევა კიდევაც დაიწყო იუნ-სიანის არმიის აქტივ ინიციატივით, რომელმაც სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე ლუ-ჩუნ-ხუას ჯარები. ნაციონალურმა ჯარმა 10 საათის ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ჩენ-ჩჟოს რაიონი. გრძელდება გაძლიერებული იერიშების მიტანა ლოი-ანზე, რომელიც არის უდიდესი სტრატეგიული ცენტრი ხანანის მიმართულებით. თუ ასეთი წარმატებით გაგრძელდა ნაციონალური ჯარების წინსვლა, შეიძლება სულ მალე ასრულდეს სუნ-ფოს ნათქვამი ახლო მომავალში პეკინის დაპყრობის შესახებ, რის შემდეგ ადვილი იქნება კანტონის, ფუ-ძიანის, ჩჟუ-ძიანის და შანხაის უკანვე დაბრუნება.

**მიმომხილველი.**

# რკინის გზების საკითხები

## II.

რკინის გზები რომ მთავარი ძარღვია ჩვენი სახელმწიფოსი ეს უდაოა. მიუხედავათ იმ დიდი მნიშვნლოებისა, რომელიც მას აქვს პოლიტიკური და თუ გინდ სამხედრო თვალსაზრისით, რკინის გზების სწორ და საღ ნიადაგზე დაყენებას უდიდესი მნიშვენელობა აქვს სახელმწიფოს განვითარების ყველა დარგზე. ამიტომაც განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ჩვენი მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს და ყოველგვარი წვრილმანი, რომლიცე ხელს უშლის მის განვითარებას და წინსვლას, უნად დაუყოვნებლივ მოგვარებულ იქნას. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში წვრილმანებისთვის ჯერ კიდევ არ გვცალია; ფრიად მნიშვნელოვანი **მსხვილმანებიც** ბევრია ჯერ მოუგვარებელი, რომელიც ხელს უშლის რკინის გზების ნორმალურ მუშაობას და საგრძნობ ზარალს აყენებს სახალხო ხაზინას. ამ წერილში ჩვენ დავასახელებთ ერთ ასეთ მსხვილმანს, რომელსაც დიდი არევ-დარევა შეაქვს რკინის გზების მუშაობაში და ამავე დროს ხელს უშლის იმ ფრიად მნიშვნელოვან ლოზუნგის ცხოვრებაში გატარებას, რომელსაც ფასების დაკლება ეწოდება. ეს არის **რონოდების გაჩერება-გაცდენა.**

რკინის გზების საექსპლოატაციო მეურნეობის უმთავრეს ელემენტს შეადგენს სატვირთო რონოდა. ამიტომაც ყოველგვარი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ დავაჩქაროთ ამ სატვირთო რონოდების ბრუნვა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მსოფლიო ომის შემდეგ სანახევროდ განადგურებული მიიღო საქონლის რონოდების და საერთოდ მოძრავი შემადგენლობის რიცხვი. რევოლიუციის პირველ ხანებში ეს დარჩენილი რაოდენობაც გაიბნა და მოიშალა. სწორედ ეს იყო ერთი მთავარი მიზეზთაგანი პირველ ხანებში ტრანსპორტის მოშლისა, რომელიც საგრძნობათ ხელს უშლიდა ჩვენი მეურნეობის აღდგენის საქმეს. ამიტომაც იყო, რომ მოძრავი შემადგენლობის აღდგენის საქმე დაკვრითი წესით სწარმოებდა და შედარებით ადრე ფეხზე დადგა ჩვენი რკინის გზების მეურნეობა, იმატა რონოდების რიცხვმა, როგორც ახლების გაკეთებით, ისე ძველების კაპიტალური შეკეთებით და გადაზიდვის საქმე წასულ საანგარიშო წლის განმავლობაში საერთოდ კავშირში ზოგიერთ რკინის გზებზე ომის წინა დროინდელ რაოდენობას გაუსწორდა. ამიერ-კავკასიის რკინის გზებზედ კი ომის წინა დროის 78 პროც. შეადგენდა.

მაგრამ საქონლის გადაზიდვის საქმის წინსვლას ხელს უშლის რონოდების არა რაციონალურად გამოყენება ავიღოთ მაგალითად რონოდების გაჩერება: რონოდების გაჩერება ხდება საქონლის დატვირთვის დროსაც, მაგრამ ამ უფრო საგრძნობლათ საზარალო და ხელის შემშლელია დანიშნულების სადგურზე უკვე მისულ დატვირთულ რონოდების დაცლის დაგვიანება. простой вагонов. ხშირია შემთხვევა, რომ მთელი შემადგენლობა საქონლის მატარებლისა, რამოდენიმე ათეული რონოდებით მთელი კვირაობით, და ხშირად უფრო მეტიც, სდგას დანიშნულების სადგურზე გადმოუტვირთავი. ჯერ ერთი არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სადგურების ლიანდაგთა წყობისა და ხაზების სიმცირე. სადგურს, რომელსაც 3-4 ხაზი აქვს ლიანდაგისა და მთელი კვირაობით დატვირთული რონოდები უყენია შიგ, ეს გარემოება ხელს უშლის აწარმოოს გასაგზავნ საქონლის წესიერათ მიღება და საერთოდ სადგურის მუშაობაზედ დიდი ხელის შემშლელ გავლენას ახდენს. გარდა ამისა მთელი კვირაობით დატვირთული რონოდების გაცდენა ამცირებს გადასაზიდ საქონლის რაოდენობას და აფერხებს დასახულ გეგმის განხორციელებას, რომელიც გათვალისწინებული აქვს რკინისგზის გამგეობას. ხელს უშლის მას სხვადასხვა დაწესებულებებთან დადებული პირობა პირნათლად შეასრულოს, როგორც მაგალითად ნავთისა, ქვანახშირისა, მარგანეცისა და სხვათა გადაზიდვის საქმეზედ.

ეხლა ვიკითხოთ,ამართლებს თუ არა ზარალს ის ჯარიმა, რომელსაც საქონლის მიმღებ-გამგზავნი იხდიან რონოდების გაცდენისთვის. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ არა. ჯერ ერთი ის ჯარიმა, რომელიც რკინის გზების სალაროში შედის რონოდის გაცდენის ჯარიმის სახით ზღვაში წვეთია შედარებით იმ ზარალთან, რომელიც რკინის

გზას ეძლევა რონოდების შეჩერებით, მაგრამ არის მეორე უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი ზარალი. გასული საანგარიშო წლის განმავლობაში მთელს კავშირში რკინის გზებზე რონოდების გაცდენის ჯარიმა გადახდევინებული იყო ათ მილიონ მანეთზე მეტი. ეხლა არ უნდა დავივიწყოთ ისიც რომ ეს ჯარიმა გადაიხადა უმთავრესათ არა კერძო პირებმა, არამედ ჩვენმა სამეურნეო და კოოპერატიულმა დაწესებულებებმა. აქედან ცხადია, რომ ეს ათი მილიონი მანეთი ზედნართი ხარჯების სახით დააწვა ჩვენი კოოპერატივების საქონელთა მომხმარებლების ჯიბეს.

იმ დროს როდესაც გადამჭრელი ზომებია მიღებული ფასების დაკლებისათვის ყოვლად დაუშვებელია, რომ ასეთი დიდი თანხები ემატებოდეს საქონელს ზედნათ ხარჯებათ, თუ გინდათ სხვაგვარათაც არ იყოს საზარალო რონოდების გაჩერება. ამიტომ ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ მინიმუმამდე შემცირდეს რონოდების გაცდენა და მით თავიდან ავიცდინოთ რკინისგზების მეურნეობის ალორძინების ერთი მთავარი მიზეზთაგანი და მით ხელი შევუწყოთ საქონელზედ ზედნართ ხარჯების შემცირებას.

ყარაიუსუფ.

# არა ნორმალური მუშაობის ერთი ნიმუში

„ახალი გზის“ მე-16 ნომერში ამხ. ყარაიუსუფი ეხება ჩვენი რკინის გზის მეტის-მეტად მწვავე საკითხს. ავტორი არჩევს ბრძანება № 2967, რომელიც ეხება რკინის გზაზე გადატანილ - გადმოტანილ საქონლის ტარიფიკაციის დროს დაშვებულ შეცდომებს. ეს შეცდომები თურმე დღითი-დღე მატულობს და დღეს იგი უდრის 51 პროცენტს.

წერილის ავტორი აღნიშნავს რა ამ სამწუხარო მოვლენას, სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ ამ შემთხვევაშიც, როგორც ყოველთვის რკინის-გზის სამმართველო ბრალს უბრალო მეისრეებს დასდებს და პასუხისმგებლობას მას დააკისრებსო. ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ამხ. ყარაიუსუფიც ამ შეცდომებისთვის ბრალს იმავე მეისრეებს სდებს და ამაში კი ჩვენ მას არ ვეთანხმებით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ აქ, ამ მუხლში, ჩვენ ავტორს ვერ დავეთანხმებით და გვინდა ვისარგებლოდ მის მიერ წამოყენებულ თემით და ვეცადოთ ამ სამწუხარო მოვლენის ნამდვილ მიზეზს მივაგნოთ. ასეთი შეცდომების დიდი პროცენტი აშკარად ხდის, რომ ამ შემთხვევაში რაღაც დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი. აშკარაა, რომ რკინის გზის ადმინისტრაცია არ იღებს რადიკალურ ზომებს ამ პირდაპირ საბედისწერო მოვლენის წინააღმდეგ და მხოლოდ მეისრეებზე ვარჯიშობით სურს მას საქმის გამოსწორება.

32 წელიწადი ვმსახურობდი რკინის გზაზე, ვმუშაობდი ტეხნიკურსა და კომერციულ დარგში და ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ ამდენი შეცდომის დაშვება შეიძლებოდეს თუ აქ რაიმე სხვა გარემოება არ უშლიდეს ხელს მოსამსახურეს. დღესაც ვერ დავიჯერებ, რომ რომელიმე სადგურში შესაძლებელი იყოს დაუშვან ასეთი დიდი და მრავალრიცხოვანი შეცდომა საქონლის გადასაზიდავი თანხის დანიხვრაში. მაგრამ რას იზამთ, ბრძანებაში ასეა გამოქვეყნებული და მეტი რა გზაა, რომ არ დავიჯეროთ.

და რაკი ეს ფაქტია, უნდა აშკარად ვაღვიაროთ, რომ ამ შემთხვევაში დიდ ბოროტებას ჰქონია ადგილი, და ამ ბოროტებას არამც თუ რკინისგზისთვის მოაქვს ზიანი, ის უბედურ მდგომარეობაში აყენებს ხაზზე მომუშავე მოსამსახურეებს, საქმეს ურთულებს თვით ხელისუფლებას და ემსახურება ჩვენი მოსისხლე მტრების მავ ზრახვებს. არევდარევა შეაქვს ისეთ დიდ სამეურნეო დარგში, როგორიც არის რკინის გზა.

ვიმეორებ, ყოვლად დაუშვებელია შეცდომის ასეთი დიდ პროცენტამდი ასვლა. ამას თავის დღეში არ ჰქონია ადგილი ჩვენს რკინის გზებზე. არ მინდა დავიჯერო, მაგრამ თვით ოფიციალური დოკუმენტი ამოწმებს ასეთ დაუშვებელ მოვლენას. რუსული თქმულებაა: „კვამლი უცეცხლოდ არ იქნებაო“ და უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ჩვენ უდიდეს ბოროტებასთან გვაქვს საქმე. ერთი ვიკითხოთ: რა მოხდა, რა დაემართათ რკინისგზელებს, ვითომ მართლა არ იციან მათ რკინის გზით გაგზავნილი საქონლის დანიხვრა?

ყოვლად შეუწყნარებელია ასეთი აზრი. ეს პირდაპირ შეურაცხყოფაა ჩვენი რკინისგზელებისა, თუ ამ რკინისგზელებმა გუშინ იცოდენ თავის საქმე, თუ ისინი გუშინ არ უშვებდენ ასეთ შეცდომებს, დღეს რა დაემართათ, რამ დაავიწყათ ის, რაც გუშინ ასე კარგად იცოდენ?

ეს, ვიმეორებ, რაღაც დაუჯერებელი ამბავია. მაშ რაშია საქმე? ეს საკითხი სერიოზულად უნდა იყოს გამოძიებული. ამხ. ყარაიუსუფი მართალია, როცა ლაპარაკობს:

„არ კმარა მარტო მშრალი ბრძანებების გამოცემა. საჭიროა გადამჭრელი ზომები იქნეს მიღებული რკინის გზის წარმოების ამ მნიშვნელოვან დარგის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად და შესაფერის სიმაღლეზე დასაყენებლად“-ო.

აქ, შეიძლება, აქა-იქ საქმის უცოდინარობაც იყოს მიზეზი, მაგრამ მარტო ამით არ შეიძლება აიხსნას ეს ბოროტება. ნაწილობრივ ვიცით და ამას სპეციალურად დანიშნული კომისია უფრო თვალსაჩინოდ გახდის, რომ ის ორგანო, რომელსაც სატარიფო ორგანო ეწოდება, ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, რომ იქ ზის, ალბად ისეთი პიროვნება, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ აფუჭებს საქმეს. თუ არა ამით, მაშ რითი უნდა ავხსნათ ეს გარემოება, რომ ყოველ კვირაში გამოდის ერთი-მეორის საწინააღმდეგო ტარიფების შესწორებანი, რაც იწვევს ამ საქმეში არევდარევას და გაუგებრობას? სადგურის უფროსები, მოლარეები და დამნიხრავები, რომელთა მოვალეობას საქონლის დანიხვრა და არსებულ ტარიფების შესწორება შეადგენს, ვერ ასწრებენ შესწორებები შეიტანონ ტარიფებში რვა საათის მუშაობის განმავლობაში. აქედან გამომდინარეობს ის გარემოება, რომ დღეს რომ საქონელი გასცა არსებულ ტარიფის მიხედვით, ის თურმე უნდა გაცემულიყო შესწორებული ტარიფით.

ვიმეორებ, დასახელებული მოსამსახურეები ვერ ასწრებენ ამ შესწორებების შეტანას ტარიფში, ისინი მეტის-მეტად არიან დატვირთული საქმით. ეს მით უმეტეს შეუძლებელი ხდება, რომ ტარიფის ასეთი ცვლა, როგორც ზემოთ ვსთქვით, ხდება თუ ყოველდღე არა, ყოველ კვირაში მაინც. აბა როგორ შეუძლიან საქონლის დამნიხვრელს, რომ შეცდომები არ დაუშვას? ამას უნდა დაემატოს ის გარემოებაც, რომ ხშირად სადგურს შესწორებები მოსდის უფრო ადრე, ვიდრე თვით სახელმძღვანელო, ამიტომ დამნიხვრელი იძულებულია ძველ სახელმძღვანელოს დაეყრდნოს. ეს კი თავის-თავად იწვევს შეცდომებს.

ამ გარემოებას, ესე იგი ტარიფების კინემატოგრაფიული სისწრაფით ცვლას ბოლო უნდა მოეღოს. უნდა რკინის გზის აგენტს საშუალება ექნეს ნორმალურ პირობებში იმუშაოს.

საჭიროა უფრო ზევით დაუწყოთ ძებნა ამ სამწუხარო გარემოების მიზეზს. მეისრეების მტყუნება და მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება საქმეს ვერ გამოასწორებს.

ლ. კუპრაშვილი.

# ახლო წარსულიდან

II.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება მეტის-მეტად აჩქარებულის ტემპით წარმოებდა. პროკურორი ძალას ატანდა გუბერნატორს—მკვლელები პოლიციამ დაჩქარებით უნდა აღმოაჩინოსო, გუბერნატორი კიდევ მაზრის უფროსს უბრძანებდა საქმის დაჩქარებას (იხ. დუშეთის მაზრის უფროსის „საქმე"-ში გუბერნატორის მიწერილობა. 4 სექტემბერი, 1907 წ., № 15516). ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ძალიან უშლიდა ხელს საქმის რიგიანად გამოძიებას. ამას უნდა დაემატოს ის გარემოებაც, რომ თვით გამოძიების მთავარი ხელმძღვანელი, ოლქის სასამართლოს საგანგებო გამომძიებელი ილიაშენკო რაღაც ორჭოფულ როლს თამაშობდა ამ საქმეში. ყოველ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ ფალავა არ ენდობოდა მას, რადგანაც ის ფიქრობდა, რომ ილიაშენკო რაღაც პირადი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა ამ საქმის გამოძიების დროს. მაზრის უფროსი ასე გამოსთქვამდა თავის აზრს ილიაშენკოს მოქმედებაზე:

„ჩემის აზრით, მკვლელობის ორგანიზატორი გადარჩა გამომძიებელის შემწეობით. გამომძიებელი საქმეს აჩქარებდა, ეტყობოდა, რომ თვითონ რაღაც პირად მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში" (იხ. ფალავას წერილი, რომელიც მან მე მომწერა 1926 წლის 1 თებერვლის თარიღით).

თვითონ ფალავა კი მკვლელობის მთავარ ხელმძღვანელად თვლის დიმიტრი ჯაშს, რომლის შესახებაც გუბერნატორს სწერს: „მკვლელობის ხელმძღვანელია თ-დი ჭავჭავაძის მამულების გამგე დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში, რომლის შესახებაც ცნობები მე უკვე მოგახსენე ოქმში 5/6 სექტემბრის თარიღით" (იხ. იგივე „საქმე". მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გუბერნატორზე გაგზავნილი „ოქმი", რომელშიაც ის, როგორც თვითონ ამბობს, ასაბუთებდა თავის აზრს დიმიტრი ჯაშის შესახებ, დღეს დაკარგულია).

იმ „საქმე"-ში, რომელიც დღეს ჩვენ მოგვეპოება, კიდევ ერთი პატარა საბუთიც არის, რომელიც ამტკიცებს, რომ გამომძიებელ ილიაშენკოსაც ჰქონია ჯაშის წინააღმდეგ რაღაც ცნობები. ის სწერს დუშეთის მაზრის უფროსს, რომ მისი ცნობების მიხედვით, მკვლელობის წინადღეებში თბილისიდან ეტლით მისულა მცხეთაში ოთხი კაცი. ისინი შემდეგ გამგზავრებულან საგურამოსაკენ. მათ შესახვედრად გამოსულა დ. ჯაში. სად გაქრენ მას შემდეგ ეს პირები, ვეღარავინ გაიგო (იქვე, გვ. 80. „სრულიად საიდუმლო" ქაღალდის № 232, 1907 წ. 25 სექტემბერი).

როგორც იმ საქმიდან, რომელიც დღეს მოგვეპოება, ისე იქედან, რომელიც ჯერ-ჯერობით მაინც დაკარგულად ითვლება, აშკარად სჩანს, რომ დიმიტრი ჯაში მართლაც თამაშობდა საბედისწერო როლს როგორც „წიწამურის ტრაღედიაში", ისე საერთოდ ილია ჭავჭავაძის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში. ყოველ შემთხვევაში რაღაც ორჭოფული, რაღაც საეჭვო იყო ამ საქმეში მისი როლი, როგორც საეჭვო და ორჭოფული იყო საზოგადოთ ამ ადამიანის პიროვნება. ჩვენ უკვე დავახასიათეთ მისი როლი იმ მასალების მიხედვით, რომელიც კი მოგვეპოვება. ამ მასალების მიხედვით, ჩვენ ვხედავთ, რომ იგი რაღაც ბნელ საქმეებს აწყობს საგურამოში; ჩვენ ვხედავთ, რომ რაღაც საეჭვო იყო მისი მოურავად დადგომა ილია ჭავჭავაძესთან; ვიცით, რომ ის მონაწილეობას იღებდა შანტაჟში, რაც დაქალების წერილების საშუალებით მოქალაქეებისათვის ფულების გამოტყუვაში მდგომარეობდა... ყოველი ეს ჩვენთვის აშკარაა. ახლა საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორი იყო ამ საეჭვო პიროვნების როლი თვით „წიწამურის ტრაღედიის" დღეს. სად იყო? რას აკეთებდა იგი ამ საშინელ დღეს?

ილია ჭავჭავაძე თბილისიდან საგურამოში მიდის. მისმა მამულების გამგე ჯაშმა იცის არა თუ დღე მისი მოსვლისა, საათიც კი. სრულიად ბუნებრივი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ჯაში მას გზაში შეხვდებოდა. ის მართლაც ასეც იქცევა. ის მართლაც მიდის პოეტის შესახვედრად. მაგრამ ის სულაც არ ჩქარობს მის შეხვედრას. პირიქით, შეხვედრის მაგიერად, ჯაში ადის მაღალ ხეზე და იქედან ათვალიერებს წიწამურიდან მომავალ გზას. ის კარგა ხანს არის ამ სადარაჯო პოსტზე. შემდეგ ჩამოდის ძირს და მიიჩქარის იმ ადგილისაკენ, სადაც „წიწამურის ტრაღედია" მოხდა... ესეც ცოტაა: როცა იგი ხედავს საშინელ სურათს, როცა ის ხედავს დაღუპულ პოეტის გვამს, როცა ხედავს, რომ იქვე გდია მისი თავგატეხილი მეუღლე ოლღა, ის სულაც არ გამოთქვამს არავითარ მწუხარებასა და განცვიფრებას, პირიქით, იგი კმაყოფილებასაც კი გამოსთქვამს იმის გამო, რომ პოეტის მეუღლეც მოუკლავთ...—„მადლობა ღმერთს, ესეც მოუკლავთ!" (იხ. მაზრის უფროსის გამოძიების „საქმე" № 2822, 23 სექტემბერი 1907 წელი).

მაგრამ ჯაშის საუბედუროდ პოეტის მეუღლე ცოცხალი აღმოჩნდა, ის კიდევ მოვიდა გონს და ზოგი ისეთი რამე დაგვიტოვა თავის ჩვენებაში, რაც კიდევ უფრო გვიმტკიცებს იმას, რომ ჯაში უდიდეს როლს თამაშობდა „წიწამურის ტრაღედიაში".

ჩვენ ხელთა გვაქვს დაკარგული საქმიდან ჩვენ მიერ ამონაწერი ზოგიერთი მოწმეების ჩვენება, როგორც, მაგალითად: ზაალ ნოშრევანის ძის ჭავჭავაძის, პოეტის მეუღლე ოლღა თადეოზის ასულის, მასლოვის, ჯაშის და ზოგი სხვების. ვისარგებლოთ ამ ამონაწერით. გავეცნოთ მარტო ჯაშის ჩვენებას.

ამ ჩვენებაში ჯაში მოგვითხრობს, თუ როგორ მიდიოდა იგი მკვლელობის დღეს წიწამურის გლეხებისაგან ლალის ასაკრეფად და თვით ამ ტრაღედიის შესახებ შემდეგს გვეუბნება:

„როცა მივუახლოვდი კნეინას და ხელი მოვკიდე, ის მე ხელიდან მისხლტებოდა, მაგრამ არაფერს არ ლაპარაკობდა, მანამდი კი მე დავინახე, თუ როგორ ცდილობდა იგი წამოდგომას, მაგრამ ვერ ახერხებდა. ორჯერ ეტლის ბორბალს მიახალა თავი... თავადისა და მისი მსახურის გვამები მე ურმით გავგზავნე სახლში. კნეინა კი მე თვითონ წავიყვანე ეტლით. გზაზე ის ცდილობდა ლაპარაკს, მიმართავდა ხოლმე ჩვენს თანამხლებელ მეურმე გლეხებს შემდეგი სიტყვებით:—„ღვთის გულისათვის. თქვენ ხომ ქრისტიანები ხართ? ეს ისეთი მადლი იქნება, რომ თუ გინდათ ეკლესია აგეშენებიოთ. მიშველეთ, დამიხსნით ამ ადამიანისაგან!"—ამბობდა კნეინა და თანაც ხელით ჩემზე აჩვენებდა. მე კი ვაწყნარებდი მას. სულ დამავიწყდა, რომ იგი ყრუ იყო და ჩემი არაფერი არ ესმოდა".

დიდხანს არ აქცევდა ჯაში ყურადღებას უბედური ქალის ხვეწნა-მუდარას, მაგრამ, ეტყობა, ის მაინც იძულებული შეიქნა გლეხების მოთხოვნილება დაეკმაყოფილებია, კნეინა გლეხებისათვის დაეტოვებია და თვითონ ცხენით წაბრძანებულიყო. ამის შესახებ თვითონ ჯაში ასე გვეუბნება:

„მამულს რომ მივუახლოვდით, წისქვილის მახლობლად, მე მას (პოეტის მეუღლეს) გვერდში მივუჯინე გლეხი. თვითონ კი ცხენით წაველი".

ძნელია რამე გადაჭრილი აზრის შედგენა ამ ტრაღედიის შესახებ. ფაქტიური მასალა იმ თავიდანვე მეტისმეტად ცოტა იყო და, რაც იყო, ისიც, როგორც ვსთქვით, სულ ცოტას გამოკლებით, დაკარგულია... ასეთ პირობებში ფანტაზიას ერთობ დიდი და ფართე ასპარეზი რჩება. აქ ერთნაირის საფუძვლიანობით შეიძლება ყოველიფერის თქმა; ყველასი გამტყუნება ან გამართლება... ყოველ შემთხვევაში „წიწამურის ტრაღედია" ერთობ დიდი საქმეა. მეტი რომ არა ვსთქვათ, პირდაპირ სირცხვილია მთელი ჩვენი თაობისათვის, რომ ეს საქმე გაუშუქებელი და გამოუკვლეველი გადაეცეს მომავალ თაობას. ჩვენი, მთელი ჩვენი თაობის, ზნეობრივი და, თუ გნებავთ, პოლიტიკური მოვალეობაა წარვხოცოთ „წიწამურის ტრაღედიით" მო-

ცხებული ჩირქი როგორც ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობას, ისე პოეტის სახელს. ყველა ჩვენგანმა,—თვით იმათაც კი, რომლებიც ამ საშინელ საქმეს ს.-დ. პარტიას აწერდენ,—ჩინებულად ვიცით, რომ ილია არ გამხდარა პოლიტიკური ტერორის მსხვერპლი, რომ იგი დაიღუპა სულ სხვა ნიადაგზე, რომ „კაკო ყაჩაღის“ ავტორის სისხლი არ ადევს კისრად წიწამურელ გლეხებს და საერთოდ ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობას... ჩვენ ყველა ამაში დარწმუნებული ვართ, ჩვენ ეს ვიცით. მაგრამ ამას დამტკიცება, დასაბუთება უნდა.

და ეს უკანასკნელი საქმე უნდა იკისროს ჩვენმა თაობამ. ჩვენ გვჯერა, რომ ეს შესაძლებელია. საბედნიეროდ, ჩვენში დღეს ბევრია ისეთი პირები, რომლებიც არა თუ დაინტერესებული იყვენ „წიწამურის ტრაღედიით“, მის გამოკვლევასაც აწარმოებდენ თავის დროზე. როგორც პოეტის სოფელში, ისე სხვაგანაც, დღეს კიდევ ბევრია ცოცხალი ისეთი გლეხები, რომლებიც აღშფოთებული იყვენ პოეტის მკვლელობით, რომლებიც დღესაც აღშფოთებული არიან მით. ადგილობრივი გლეხები როგორც მაშინ, ისე დღესაც, აღშფოთებული არიან მით, რომ ამ საქმეს პოლიტიკურ ხასიათს აძლევდენ, რომ მასში ბრალს პოლიტიკურ პარტიას დებდენ.

რომ პოეტის მკვლელობით აღშფოთებული გლეხები არ თვლიდენ დამნაშავეთ ამ საქმეში ს.-დ. პარტიის ადგილობრივ მომუშავეებს, ამის საბუთი ჩვენ მოგვეპოვება.

როგორც ვიცით, პოლიცია ძალას ატანდა ხალხს: მკვლელი დაასახელეო. 1907 წლის 19 სექტემბერს მართლაც შეიკრიბა სოფელ საგურამოს გლეხების ყრილობა, რომელმაც დაასახელა შემდეგი პირები:

1. ახალ-სოფლის მცხოვრები გიორგი აფციაური, 2. ნაკდარიანთკარის მცხოვრები-გლეხი გიგო ნავდარაშვილი და 3. წიწამურელი გლეხი—სოლკა შერმადინი (იხ. მაზრის უფროსის „საქმე“, გვ. 15). არც ერთი ეს გლეხი პოლიციამ არ დააპატიმრა (მგონი, გარდა სოლკა შერმადინისა). ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამას საქმიდან ვერ ვხედავთ. როცა სოფლის ყრილობა ამ გლეხებს ხელს ადებდა, უნდა ვიფიქროთ, ის ხელმძღვანელობდა ან მითი, რომ იცოდა ამ საქმეში დასახელებული პირების როლი, ან მითი, რომ ეს გლეხები საერთოდ ცუდი სახელით სარგებლობდენ საზოგადოებაში და ყრილობას შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ისინი ასეთ საქმეს ჩაიდენდენ. გლეხები ჩინებულად იცნობდენ სოფლად პარტიულ მომუშავეებს. ასეთებს კარგად იცნობდა თვითონ პოლიციაც. ამიტომაც ის ცდილობდა, რომ გლეხებისათვის ეკარნახებია, რომ სწორედ ეს აგიტატორები არიან დამნაშავე „წიწამურის ტრაღედიაშიო“. ყოველ შემთხვევაში, მაზრის უფროსის „საქმეში“ ჩვენ ვეცნობით გუბერნატორის მოწერილობას, რომელშიაც დასახელებულია პარტიული აგიტატორები და წინადადება ეძლევა მაზრის უფროსს ამ საქმის გამოძიების დროს მათ ყურადღება მიაქციეო. გუბერნატორი ასეთ „საეჭვო პირებად“ ასახელებს: ვანო ბიჭიაშვილს, გიგლა ორუჯიშვილს და იასონ ორუჯიშვილს. დაუჯერებელია, რომ გლეხებს არ სცოდნოდა სოფელში ამ დასახელებულ პირების როლი. და თუ მათ არ იცოდენ, პოლიცია ხომ აუხსნიდა. მაგრამ გლეხების ყრილობა არ ადებს ხელს მათ, ის ასახელებს სხვებს, რომლების შესახებ პოლიციამ ან არაფერი იცის, ან ბევრი რამ იცის, მაგრამ მათი დაჭერა თავისთვის ხელსაყრელად არ მიაჩნდა.

ეს ფაქტი კიდევ უფრო გვარწმუნებს იმაში, რომ გლეხები არ თვლიდენ პარტიის საქმეთ „წიწამურის ტრაღედიას“.

რა იყო პოეტის მკვლელობის მიზეზი? რა ნიადაგზე მოეწყო „წიწამურის ტდალედია“? ვინ ხელმძღვანელობდა მას?

ამ კითხვებზე გადაჭრილი პასუხი არ მოგვეპოვება, მაგრამ მის გამოსაკვლევად კი ერთობ ბევრი გზები გვაქვს. ამ გზებში ორი ყველაზე უფრო სწორი და მოკლე გზაა: ერთს მივყევართ მთავრობისაკენ, მეორეს თბილისის სათავად-აზნაურო ბანკისაკენ.

ილიას მკვლელობის საქმის გამოძიების დროს არც ერთი ეს გზა არ იქნა მხედველობაში მიღებული. მთავრობის ჩინოვნიკი-გამომძიებელი, რა თქმა უნდა, ამ საქმეში თვითონ მთავრობის როლის გამოკვლევას არ შეუდგებოდა. მან არც ბანკის ირგვლივ დაიწყო საქმის ძიება. მაგრამ აქ საკვირველი ის არის, რომ არც პოლიტიკურ პარტიებს მიუქცევიათ ყურადღება ამ ორი გზისათვის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ნაციონალისტურმა პარტიებმა უკვე მონახეს მკვლელები, მათ ასეთებათ ს.-დემოკრატები და მათი პარტია გამოაცხადეს. ამ საქმის გამოსაკვლევად სხვა რომელიმე გზის ძებნა ხომ პირველი გზის უარყოფას, უკვე მონახული მკვლელების გამართლებას მოასწავებდა. ჩვენ კი, როგორც ვსთქვით, თავის მართლებას მოვუნდით. ყოველ შემთხვევაში, პირველი ცდის შემდეგ, ამ საქმის გამოძიების შესახებ ვერაფერი ვერ ვიღონეთ... ჩვენ კი დღეს სრულიად სერიოზულად ვასახელებთ ამ გზებს და ამ საქმის მომავალ მკვლევრებს ვურჩევთ ამ ორ გზასაც ნუ დაივიწყებენ.

სულ ადვილი დასაჯერებელია, რომ ილია ჭავჭავაძე თვითმპყრობელი მთავრობისა და მისი ადგილობრივი აგენტების მსხვერპლი გამხდარიყოს.

მიზეზი? მიზეზი ის იყო, რომ ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და რომ იმას ეს რუსეთის ზუბრებისაგან შემდგარი საბჭო თვლიდა არა თუ ლიბერალად, რადიკალადაც კი, და ეს ხომ სრულიად შეუფერებელი იყო სახელმწიფო საბჭოს წევრისათვის. პოეტის სიკვდილის შემდეგ რუსის ზუბრებმა არც ერთი ქართველი, თვით ყველაზე უფრო უზუბრესიც კი არ მიიღეს, რაც იმით დაასაბუთეს, რომ „ქართველმა თ.-აზნაურობამ ვერ გამოიჩინა საჭირო უნარიანობა რუსეთის ისტორიულ საფუძვლების დაცვაშიო“ (იხ გაზეთი „ზაკავკაზიე“, № 264, 1907 წელი).

აბა რათ გაუჭირდებოდათ თვითმპყრობელობის ადგილობრივ აგენტებს ილია ჭავჭავაძის, სახელმწიფო საბჭოს ამ არასასურველ წევრის, მისივე სოფელში მოკვლა და ამ საქმის უკმაყოფილო გლეხების ან სოციალისტური პარტიისათვის მიწერა? ადვილი დასაჯერებელია, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციას და რუს შავრაზმელებს ამის შესახებ ჰქონდათ შესაფერი მოწერილობა.

„წიწამურის ტრაღედიის“ მკვლევარს ამ გზით სიარულს კიდევ უფრო უკარნახებს ის გარემოებაც, რომ დაღუპულ პოეტის მოურავი ჯაში, რომელსაც ხალხის ხმა და მაზრის უფროსის გამოძიება მკვლელობის მომწყობად ასახელებენ, ბოლოს ჟანდარმების აგენტიც გამოდგა... ამ ტრაღედიის მკვლევარმა არ უნდა დაივიწყოს აგრეთვე ოლქის სასამართლოს საგანგებო გამომძიებლის ილია-შენეკოს მეტის-მეტად საეჭვო როლიც. თუ ილიაშენკო დაინტერესებული არ იყო, რატომ გაუშვა მან ჯაში, რატომ არ დასვა ის დამნაშავის სკამზე?

შესაძლებელია, რომ ჩვენი ასეთი მოსაზრება არ გამართლდეს. შესაძლებელია, რომ პოეტის მკვლელობის ინიციატივა ადგილობრივ ადმინისტრაციას არ ეკუთვნოდა... მაგრამ ის კი უეჭველია, რომ რაკი ეს მთავრობისათვის არასასურველი ადამიანი მოჰკლეს, მისი მკვლელობის შესახებ გამოძიება ისე უნდა ეწარმოებიათ, რომ პოეტის მკვლელობის პირველ დღიდანვე გავრცელებული ლეგენდები ს.-დ. როლის შესახებ გამოეყენებიათ. ამით ხომ მთავრობა საუკუნოთ გაუტეხდა სახელს მის მოსისხლე მტერს—პოლიტიკურ პარტიას. და თუ გამოძიება ამ გზას არ დაადგა, უნდა ვიფიქროთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ამის შესახებ არავითარი ხელჩასაჭიდებელი საბუთი არ მოეპოებოდა. მართალია, ქართველი ნაციონალისტები ამას გაიძახოდენ, მაგრამ ეს ხომ საბუთად არ გამოდგებოდა? ამ გარემოებას აქცევს ყურადღებას აგრეთვე ყოფილი მაზრის უფროსი ყარამან ფაღავაც. ის ჩემდამი მოწერილ წერილში ლაპარაკობს:—„ორგანიზაცია ილიას მკვლელობის შესახებ, როგორც გამოძიებიდან სჩანდა, თბილისში იყო მოწყობილი. გამოძიების დროსაც ხმა გავრცელდა, რომ ვითომც ილია ჭავჭავაძე პარტიამ მოჰკლაო. მაგრამ

ჩემს გამოძიებაში ეს არ სჩანდა და არც არავითარი საბუთი არ იყო იმის შესახებ გამოძიების დროს“.

ახლა შევჩერდეთ მეორე გზაზე, რომელსაც სათავადაზნაურო ბანკისაკენ მივყევართ.

როგორც ვიცით, ამ ბანკის დაარსებიდან ილია ჭავჭავაძე მისი უცვლელი თავმჯდომარე იყო. ამ ბანკს ის აძლევდა უდიდეს მნიშვნელობას. მას შესწირა პოეტმა თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები. ჩვენის აზრით, ამ ბანკმა ერთობ შეუშალა ხელი პოეტის შემოქმედებით ნიჭსა და აღმაფრენას. მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენ გვგონია ასე. ილია ამის შესახებ სულ სხვა აზრის იყო. ის ამ ბანკსა და მის მიერ დასახულ მიზნებს უფრო დიდ როლს აკუთვნებდა ქართველ ხალხის კულტურის საქმეში, ვიდრე თავის პოეტურ აღმაფრენას. მას ეს სჯეროდა... და ის ხომ სიტყვისა და საქმის კაცი იყო. ის რასაც იტყოდა, კიდეც ასრულებდა, რა საქმესაც ჰკისრებდა, მთელის თავისი არსებით მიეცემოდა მას. ასეთი იყო ილია მაშინ, როცა დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთ იყო, ასეთი იყო იგი ბანკის საქმეში; ასეთივე იყო იგი მაშინ, როცა მესამე დასელების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა...

ილიას შვილი არ ჰყავდა. ბანკი შეიქნა მისი შვილიც და ოჯახიც. მოხუცებულობამ სულაც ვერ გაუნელა მას ამ ბანკის საქმეებით გატაცების უნარი, საქმის სიყვარული... და ამ საქმით ასე გატაცებული, ამ საქმეზე თანშეზრდილი ილია იძულებული შეიქნა ეს საქმე სხვებისათვის მიენდო და თვითონ პეტერბურგში გადასახლებულიყო... ილიას წასვლა და იქ მისი მოწინააღმდეგეების გაბატონება ერთი იყო. დადასტურებით ვიცით, რომ ილიას ანტონ ფურცელაძის ბანკის თავმჯდომარეთ არჩევაც არ ესიამოვნა. „აბა, რა ბანკის თავმჯდომარე იქნება ისეთი კაცი, რომელსაც დებეტის კრედიტისაგან გარჩევა არ შეუძლიაო“,—ამბობდა ილია ფურცელაძის არჩევის გამო.

ილიას წასვლა მართლაც დიდათ დაეტყო ბანკის საქმეებს. ამ დროს საზოგადოებაში დაიწყეს ლაპარაკი ბანკში დიდ ბოროტმოქმედებას აქვს ადგილიო. ილია შორიდანვე ადევნებდა თვალყურს ბანკის საქმეებს. ამბობდენ იმასაც, რომ ის ძალიან განაწყენი იყო ბანკის ზოგიერთი ოპერაციებით და იქადებოდა: დამაცადონ! ჩამოვალ საქართველოში და ამ საქმეს გამოვამზეურებო. მართლაც ჩამოვიდა თუ არა, ამ თავის დაქადების საქმეთ ქცევას შეუდგა. დაკარგული საქმეებიდან ვიცით, რომ პეტერბურგიდან ჩამოსვლისთანავე ის ჩაუჯდა ბანკის საქმეების ქექვას, რასაც თითქმის მთელი კვირა მოანდომა. მან მართლაც შეისწავლა ბანკის ბოლონდელი ოპერაციები... მას სიკვდილის დღესაც პორთფელში ჰქონდა ბანკის საქმეებიდან ამონაწერი მასალები, რომლებიც პორთფელთან ერთად იქნა გატაცებული მკვლელების მიერ.

ვინ იცის: შეიძლება, ეს დოკუმენტები უფრო დიდ როლს თამაშობდენ „წიწამურის ტრაღედიაში“, ვიდრე პოეტის ოქროს საათი, საფულე, ან სხვა რომელიმე ნივთები.

ცოტა რამეს ამ მოსაზრების თუ არ დასამტკიცებლად, აღსაძვრელად მაინც ვხედავთ იმავე დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავას მიერ ჩვენდამი გამოგზავნილ წერილში:

„საგურამოში ქურდობა, სხვადასხვა ბოროტება და ბოროტმოქმედება ხშირად ხდებოდა. ამიტომ მე იძულებული შევიქენი სტრაჟნიკების პოსტი დამეარსებია. ერთხელ სამსახურის გამო საგურამოში მივედი. ილია ვინახულე. მან ხუმრობით მითხრა:—„საგურამოში რა საჭიროა დარაჯები? დარაჯები ჩვენ ბანკს სჭირდებაო“.

ჯერ-ჯერობით იძულებული ვართ ამით გავათავოთ ჩვენი წერილი. შეიძლება არც ერთი ჩვენი მოსაზრება გამოკვლევამ არ გაამართლოს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არც ერთ აქ წამოყენებულ მოსაზრებებს დამტკიცებულად არ ვსთვლით და, თუ მათ აქ ვაყენებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ „წიწამურის ტრაღედიის“ მომავალ მკვლევარს მივუთითო სხვადასხვა შესაძლებლობა ამ ტრაღედიისათვის ნათელის მოსაფენათ.

თვითონ ჩვენ, თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო, ვფიქრობთ მომავალი ზაფხულის თვეები გამოვიყენოთ ამ საქმის გამოსაკვლევად.

პ. გელეიშვილი.

# ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობა

**(მიმდინარე წლის პირველ ნახევარის მიმოხილვა)**

მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ნახევარის ა.-კავკასიის საგარეო ვაჭრობა საგრძნობელ აქტიურ ბალანსს გვიჩვენებს. საერთო ბრუნვა უდრის 79.493,4 ათას მანეთს. აქტიური სალდო 36.773,4 ათას მანეთს გვიჩვენებს. წინა წლის ამავე პერიოდთან შედარება შემდეგ სურათს იძლევა: (ათას მანეთებში).

| | 1926-27 წ. I ნახევარის | 1925-26 წ. I ნახევარის | %% დამოკიდებულება |
|---|---|---|---|
| ექსპორტი | 58.133,4 | 45.725,4 | 127,1 |
| იმპორტი | 21·360,0 | 28.284,5 | 75,5 |
| საერთო ბრუნვა | 79.493,4 | 74.009,9 | 107,4 |
| ბალანსი | 36.773,4 | 17.440,9 | 210,8 |

აქედან ცხადია:

1. ექსპორ. ზრდა 27,1%, აბსოლ. 12,408,0 ათასი მან.
2. იმპორ. შემცირ. 25,5%, აბსოლ. 6,924,5 ათასი მან.
3. საერთო ბრ. ზრდა 7,4%, აბსოლ. 5.483,5 ათასი მან.
4. აქტივი ბალ. +110,%, აბსოლ. 19.332,5 ათასი მან.
5. აქტიური ნაწილის ზრდა ორჯერ მეტია ვიდრე პასივის დანაკლისი.
6. ბალანსის გაუმჯობესება მიეწერება მხოლოდ აქტიური ელემენტის ზრდას, ექსპორტის გადიდებას.

რომ ბალანსის გაუმჯობესება მხოლოდ პასიური ელემენტის დანაკლისით გამოწვეულიყო, ცხადია, საქმე გვექნებოდა ხელოვნურ წონასწორობასთან, მაგრამ როგორც მოყვანილ ცხრილიდან სჩანს აქ საქმე გვაქვს ექსპორტის საგრძნობელ ჭარბობასთან იმპორტის დანაკლისთან შედარებით. მეორე მხრით ბუნებრივად ისმება საკითხი, თუ რით არის გამოწვეული იმპორტის დაკლება, მაშინ, როდესაც ექსპორტს საგრძნობლათ მოემატა. თითქოს უფრო ბუნებრივი იქნებოდა გატანის ზრდასთან ერთად შემოტანის კონტინგენტიც გაზრდილიყო. აქ ორ მთავარ მიზეზთან გვაქვს საქმე.

1. გასული წლის პირველი ნახევარის იმპორტი მიმდინარე წელთან შედარებით არა ბუნებრივი იყო და ეს იმდენათ, რამდენადაც განაწილებულ იქნა არა მარტო ნახევარი წლის საიმპორტო ხვედრი, არამედ თითქმის მთელი წლის. რასაც შედეგათ მოყვა მეორე ნახევარი წლის საიმპორტო კონტინგენტს საგრძნობი შემოკლება. ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განაწილდა წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა წლის მეოთხედების მიხედვით (კვარტალების მიხედვით).

2. გასული წლის საექსპორტო კომპანიის არა სასურველათ ჩატარებამ (ხორბლეულობის ექსპორტის დანაკლისი)—გამოიწვია მიმდინარე წლის საიმპორტო კონტინგენტის შემოკლება, რამაც ცხადია გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მთლიან ბრუნვაზე. მიმდინარე წლის ეფექტი დადებით გავლენას იქონიებს მომავალ წელში. იმდენათ, რამდენათაც აქტიური ბალანსი სიჭარბეს გვიჩვენებს, შესაძლებელი იქნება საიმპორტო კონტინგენტის გადიდება-გაძლიერება.

საიმპორტო საქონლის ნომენკლატურა გვიჩვენებს სამრეწველო მოწყობილებათა საგრძნობ ზრდას. მაშინ, როდესაც გასული წლის სამრეწველო იმპორტი საშუალოთ 77,2% უდრიდა მთლიანი იმპორტისა, მიმ-

დინარე წლის პირვე ლნახევარში იგივე დარგი გვიჩვენებს 82,8%. ეს უკანასკნელი კი იმის მომასწავებელია, რომ შემოდის მრეწველობის ასაღორძინებლათ აუცილებელი მანქანები და საქონელი, რაც ცხადია თანდათანობით შეამოკლებს სამომხმარებლო იმპორტს.

საქონლის მოძრაობის მიმართულების და მიხედვით, საგარეო ვაჭრობის რიცხვი შემდეგ სურათს გვიჩვენებს. (ათას მანეთებში).

| | ვაჭრობა დასავლეთთან | | ვაჭრობა აღმოსავლეთთან | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სპარსეთი | | ოსმალეთი | |
| | 1926/27 წლ. I ნახევ. | 1925/26 წლ. I ნახევ. | 1926/27 წლ. I ნახევ. | 1925/26 წლ. I ნახევ. | 1926/27 წლ. I ნახევ. | 1925/26 წლ. I ნახევ. |
| ექსპორტი . . . . | 37.201,1 | 28.923,7 | 19.678,7 | 15.683. | 1.253,6 | 1.118,5 |
| იმპორტი . . . . | 11.178,2 | 9.046,8 | 9.374,2 | 17.357,4 | 807,6 | 1.880,3 |
| საერთო ბრუნვა . . | 48.379.3 | 37.970,5 | 29.052,9 | 33.040,6 | 2.061,2 | 2.998,8 |
| ბალანსი . . . ± | + 26.022,9 | + 19876,9 | + 10.304,5 | — 1.674,2 | + 4. 46,0 | — 761,8 |

საგარეო ვაჭრობის საერთო ზრდასთან ერთად ვხედავთ, რომ პასიური ბალანსი აღმოსავლეთის ვაჭრობაში გასული წლის პირველ ნახევარში, მიმდინარე წლის ამავე პერიოდში აქტიურათ შეცვლილა.

როგორც რაოდენობის, ისე ღირებულების მხრივ, ა.-კ. საგარეო ვაჭრობა დასავლეთის ქვეყნებთან პირველ ადგილზე სდგას. ექსპორტის მთავარ კონტინგენტს იძლევა ნავთი და ნავთის პროდუქტები, და მარგანეცი, შემდეგ მიდის თუთუნი, ნოხები, აბრეშუმის პარკი და აბრეშუმის ნაშთები, თევზის პროდუქტებში (ხიზალალა). ხე-ტყე, მებაღეობის, მესაქონლეობის და მეფრინველეობის პროდუქტები.

მთლიანი ექსპორტი უდრიდა (ათას მანეთებში):

| | 1926/27 წლ. I. ნახევ. | 1925/26 წლ. I. ნახევარში |
|---|---|---|
| | 36.126,4 | 28.736,0 აქედან |
| ნავთის პროდუქტები | 26.122,7 | 16.923,7. |
| მარგანეცი | 4.615,9 | 5.384.6. |
| სას. მეურ. პროდუქტ. | 5.387,8 | 6.067,7. |

მიმდინარე წლის პრველი ნახევარის საექსპორტო კონტინგენტი რესპუბლიკებზე შემდეგნაირად ნაწილდება (ათას მანეთბეში).

I. აზერბეიჯანი. ა) ნავთი 26.122,7.
ბ) სასოფ. მეურ.პრ. 2.219,4.

28.342,1.

II. საქართველო. მარგანეცი 4.615,9.
სას. მეურნ. პროდ. 2.558,2.

7.153,9.

III. სომხეთი—სასოფ. მეურნ. პროდ. 204,7.
IV. ა.-კ. გარეშე რესპუბლ. საქონ. 425,5.

ა.-კ. დასავლეთთან ვაჭრობაში (ექსპორტი) მთლიანად პირველ ადგილზე სდგას (28,342,1 ათასი მანეთი) აზერბეიჯანი. მეორე ადგილზე საქართველო (7,153,9 ათასი მანეთი), მესამე ადგილზე ა.-კ. გარეშე საბჭოთა რესპუბლიკები (425.5 ათასი მანეთი). ხოლო მეოთხე ადგილზე სომხეთი. (204,7 ათასი მანეთი).

თუ ჩვენ სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გატანას რსეპუბლიკების მიხედვით განვიხილავთ დავინახავთ შემდეგს.

1. საქართველო 2.538,2 ათასი მ. ანუ 47,1%.
2. აზერბეიჯანი 2.219, „ „ „ 41,2%.
3. ა.-კ. გარ. რესპ. 425,5 „ „ „ 7,9%.
4. სომხეთი 204,7 „ „ „ 3,8%.

სულ 5.387.8 100,0%.

რესპუბლიკებში მრეწველობის თანდათანობითი განვითარების მიხედვით ცხადია საექსპორტო საგნების გატანის რაოდნეობა შემოკლდება. ამჟამად ასეთ მოვლენასთან უკვე გვაქვს საქმე. აბრეშუმის ძაფის სართავ საქართველოს ქარხნების ზრდამ უკვე გამოიწვია გამხმარი პარკის საექსპორტო რაოდენობის შემოკლება. მრეწველობის ზრდასთან ერთად ბუნებრივათ წარმოიშობა საკითხი მე-2 ხარისხოვან პროდუქტებისათვის საგარეო ბაზრის გამონახვის შესახებ. ამ მხრივ ამ.-კავკასიის სახალხო მეურნეობას მდიდარი რესურსები გააჩნია. აქ საჭირო იქნება დამზადების რაციონალური დაყენება. ეს რაციონალობა უნდა გამოიხატოს ერთის მხრივ საგარეო ბაზრების მოხმარების სტანდარტის შესწავლა. საქონლის ისე დამზადება, როგორსაც მოითხოვს საგარეო მომხმარებელი. ხოლო მეორე მხრივ კი უნდა მოხდეს საქონლის თვითღირებულების ნიველიროვკა საერთაშორისო დამზადების ბაზრების ფასებთან. ეს ორი მთავარი პირობა თუ წარმატებით იქნა შესრულებული სასოფლო მეურნეობის პროდუქტებსაც გაეხსნება სარეალიზაციო გზა, რაც იქვს გარეშეა უაღრესად დადებითი მოვლენათ გახდება მთლიან სახალხო მეურნეობისათვის.

იპ. ნარხია.

# ჩაის კულტურა ჩვენში

სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოს უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი მიწა-წყალი დაჯილდოებულია უამრავი ბუნებრივი სიმდიდრით და მისი ჰავა მშვენიერი და მრავალფეროვანია. აქ ერთი კუთხის ჰავა და ნიადაგი როდი წააგავს მეორისას, ის მუდამ ცვალებადია და სარგებლიანი, ასეთი საუცხოვო ბუნებრივი პირობები-კი იძლევა საშუალებას ჩვენი სასოფლო-მეურნეობის განვითარებისათვის. ამისათვის ჩვენში ჯერ კიდევ ძველი დროიდანვე მისდევდენ ვენახის მოშენებას, მეაბრეშუმეობას, მეთამბაქოებას, მეხილეობა-მბოსტნეობას და სხვ. უკანასკნელ დროს კი ჩვენში ხომ საგრძნობლადაა გავრცელებული ჩაის, მონდარინის, დაფნის, ფორთოხლის და სხვა ძვირფას მცენარეობათა კულტურულად მოშენება.

სასოფლო მეურნეობის თვითეული ამ დარგის რაციონალურად წარმართვა მოგვცემდა თვალსაჩინო შემოსავლიან წყაროს და დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების გაძლიერება-გაჯანსაღებას, მაგრამ ჩვენი ნაკლი და ჩამორჩენილობაც სწორედ იმაში მდგომარეობს რომ ჩვენს მხარეს მეცნიერ მკვლევარის ფხიზელი დაკვირვება ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ შეხებია და ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული თუ რომელი მხარის პირობები (გეოგრაფიულ-კლიმატიური) რომელ კულტურას უფრო ითვისებს და ანვითარებს.

თამამად შეიძლება ითქვას რომ დასავლეთი საქართველო და განსაკუთრებით გურია სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის ერთად-ერთი უმდიდრესი კუთხეა, მაგრამ დღემდე მას სათანადო ყურადღება არ მიქცევია და ეს ბუნებრივი პირობები და სახელმწიფოებრივი დოვლათი სასურველად ვერ გამოგვიყენებია.

უკანასკნელ დრომდე გაურკვეველი იყო თუ დასავლეთ საქართველოს რომელი კუთხე რა კულტურისათვის უფრო მისაღებია და გამოსადეგი, რომელი კულტურა სად უფრო შეიძლება განვითარდეს და სხვ.

მაგალითად ჩაის კულტურის შესახებ ფიქრობდენ რომ იგი მხოლოდ ჩაქვისა და ქობულეთის მიდამოებში იხეირებს და არსად სხვაგან, მაგრამ სინამდვილემ დაგვანახვა, რომ გურიის მთელ რიგ რაიონებში გაცილებით უკეთესი პირობებია შექმნილი, ვიდრე ქობულეთსა და ჩაქვში.

ამ პატარა წერილით ჩვენ გვინდა გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას ჩაის წარმოების დღევანდელი მდგომარეობა.

ჩაის მრეწველობას ჩვენში საფუძველი ჩაეყარა 1995 წელს, საქმე ჩქარის ტემპით მიდიოდა ომამდე. საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო 345 დესეტინა ჩაის პლანტაცია. აქედან სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდა 305 დესეტინა, ხოლო 40 დესეტინა იყო კერძო საკუთრება ოზურგეთის მაზრაში.

1915 წლიდან-კი ჩაქვის მოსავლის შესახებ ჩვენს განკარგულებაშია შემდეგი ციფრები: 1915 წლის მოსავალი განისაზღვრება 288.500 გ. ხმელი ჩაით: 1916 წ.—232,000 გირ.; 1917 წ.—192,500 გირ.; 1918 წ.—111,000 გირ.; 1919 წ.—198,600 გ.; 1920 წ.—202,000გ.; 1921 წ.—155,000 გ.; 1922 წ.—215;000; 1923 წ.—300,000; 1924 წ.—376,000; 1925 წ.—347,000 და 1926 წ.—300,000 გირ. უკანასკნელი წლის მოსავლის საგრძნობი დაკლება წინაწლებთან შედარებით აიხსნება გოლვით.

1927 წელში მოსალოდნელია „საქ. ჩაი“-ს ჩაქვისა და სხვა პლანტაციებიდან (სოლიბაური-ოზურგეთი) 359,770 გირ. ხმელი ჩაის მოსავალი და გლეხების პლანტაციებიდან 212,644 გირ., სულ 572,414 გირ. ხმელი ჩაი.

სააქც. საზ. „საქ. ჩაი“ დაარსდა 1915 წლის დეკემბერში და მის განკარგულებაში გადმოვიდა გაშენებული პლანტაციები:—გურიაში—242 დეს.; აჭარისტანში—915 დეს. და სამეგრელოში—3 დესეტინა. სულ 1.160 დეს. ესე იგი საბჭოთა ხელისუფლების დროს მიმატებია 815 დესეტინა, ანუ დაახლოებით ჩაის მრეწველობა გაზრდილა 150 პროცენტით. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში-კი საზოგადოებას მოუშენებია 518 დესეტინა.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით ჩაის წარმოებასა და მის რაციონალურად წარმართვას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. მომავალ 5 წლის განმავლობაში (1928—1932 წწ..) დასავლეთ საქართველოში უნდა გაშენდეს 20.000 ჰექტარამდე (18.000 დეს.) ამ საქმის მოსაგვარებლად მეურნე გლეხობას ეძლევათ გრძელვადიანი (8 წლით) სესხი 450 მანეთის რაოდენობით ყოველ გაშენებულ დესეტინაზე. სააქც. საზ. „საქ. ჩაი“-ს განზრახვა აქვს ახლო მომავალში შეუდგეს ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელებას.

წინად მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთათვის იყო საცხოვრებელ ბინების დიდი კრიზისი.

1927 წლის საბიუჯეტო პერიოდში გახსნილია კრედიტი მუშათა საცხოვრებელ ბინებისა და სხვა მშენებლობისათვის 500.000 მან., აგრონომიულ დახმარებისათვის 150.000 მან., ხოლო თესლის შესაძენად და გლეხობის სესხისათვის 277.000 მანეთი.

**მუშათა ხელფასი** ომამდე პლანტაციებში იყო 60—70 კ. დღეში,—ფაბრიკებში 1 მ. დღეს შრომის ხელფასი აღწევს პლანტაციებში—1—20 კ-ს, ხოლო ფაბრიკაში—1—60 კ.

საბჭოთა ხელისუფლებამ 1926 წ. გააშენა ს. მიქელგაბრიელსა და აცანის ჩაის მრეწველობის ახალი ფაბრიკები. მიმდინარე 1927 წელში შენდება აგრეთვე ბობოყვათის ფაბრიკა (ჩაქვსა და ქობულეთის შუა).

საამშენებლო გეგმის მიხედვით განზრახულია მომავალი წლის განმავლობაში არსებული ძველი ფაბრიკების მთლიანად გადახალისება-გაფართოება და მრავალი ფაბრიკების აგება სხვადასხვა ადგილებში. 1932 წელში ჩვეხგვექნება სულ 24 წვრილი და მსხვილი ტეხნიკ ს უკანასკნელი სისტემით მოწყობილი ჩაის საწარმოო ფაბრიკები.

პროფ. ტიმოფეევისა და აგრონომ კლინგელის გამოკვლევით (ომამდე) ჩაის კულტურისათვის გამოსადეგი მიწები საქართველოში იყო სულ 80.000 დესეტინამდე. ხოლო მუშათა და გლეხთა ინსპექციის 1924 წლის უკანასკნელი გამოკვლევით კი ირკვევა, რომ ჩაის კულტურის სავარგისი ფართობი უდრის 120.000 დესეტინას.

ჩაის მოთხოვნილება ამიერ-კავკასიის ბაზარზე ომამდე უდრიდა 3,300,000 გირვანქას ეხლა კი ამიერ-კავკ. ვაჭრ. სახ. კომ. ცნობით უდრის 2.400.000 გირ., მოთხოვნილების ასე საგრძნობი შემცირება აიხსნება პროდუქციის ნაკლები შემოტანით და ადგილობრივი ნაწარმოების მაღალი ფასებით. (ომამდე გირვანქა ფასობდა 1—60 კ., ეხლა—3—50—4 მანეთი იგივე ხარისხი.

აღსანიშნავია რომ ჩაის მოშენებისათვის გამოსადეგია ისეთი მწირე მიწები, მოკლებული ყოველგვარ სასუქსა და სინოყივრეს, რომლებიც სრულიად უვარგისია ხორბლეულის კულტურისათვის. ამგვარ დესეტინა მიწაზე დათესილი სიმინდი მოგვცემდა მხოლოდ 60 ფუთამდე, ხოლო წმინდა შემოსავალს 15—20 მანეთამდე. მაშინ, როცა ჩაის მოსავალი იძლევა 2.500 გირ. მწვანე ფოთოლს დესეტინაზე. გირ. 17 კაპ. ღირებულებით,—ანუ საშუალოდ 425 მან. მთლიან შემოსავალს. შრომის ხელფასის გამოკლებით გვრჩება 150 მან. წმინდა შემოსავალი ყოველგვარ ხარჯების გარეშე.

ჩაის კულტურის რაციონალურად წარმართვა და მისი წარმოების ჩქარის ტემპით განვითარება ჩვენს ქვეყანას დააყენებს ეკონომიურად მოღონიერების გზაზე. სასოფლო მეურნეობის პრიმიტიულ მშენებლობაში ჩაბმული გლეხობა დაბალი კულტურის მეურნეობიდან გადადის მაღალკულტურაზე, მცირდება უმიწაწყლო ან მწირე მიწების მქონე გლეხთა რიცხვი და აქედან გამოწვეული მძიმე კრიზისი განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

ამის გარდა სწარმოებს ტროპიკულ მცენარეულობათა სწრაფი და გეგმიანი გაშენება: ბამბუკის, მანდარინის და მრავალი სხვ. რაიც დამატებითი მეურნეობათ უნდა ჩაითვალოს გურიის გლეხობისათვის.

ა. ვადაჭკორია.

# ვისთან ერთად და ვის წინააღმდეგ?

დღეს, როდესაც ხდება კაცობრიობის წინაშე მეტად ღირს შესანიშნავი მოვლენები, როცა იღვიძებს და საკუთარ ფეხზე წამოდგომას აპირებს საუკუნოებით დაჩაგრული და ღირსება ახდილი კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ერები, როცა მრავალ მილიონიანი აბუჩად აგდებული ჩინეთის მშრომელი—რევოლიუციონური მასა უპასუხისმგებლო იმპერიალიზმის ქუსლის ქვეშ გმინავს და სისხლიდან იცლება,—როცა შრომა და კაპიტალს შორის სამკვდრო სასიცოცხლო ჭიდილია,—ყველა სოციალისტის და რევოლიუციონერის მიერ განზედ გადგომა და მაყურებლის როლში გამოსვლა,—პოლიტიკის გარეშე თავის გამოცხადება,—იგივე იმპერიალისტების საქმის კეთება და კაპიტალიზმის წისქვილზედ წყლის დასხმაა...

მაშინ, როდესაც დედამიწის ზურგზე ერთად ერთი რევოლიუციონურ მუშურ-გლეხურ ქვეყნის წინააღმდეგ კვლავ მოსალოდნელი ხდება მდგომარეობის გართულება,—ვეკითხები ჩემს თავს, ვეკითხები არა ვინმესი მუქარისა

და ძალდატანების ქვეშ, არა შიშით და იძულებით, არამედ სინიდისის წინაშე:—რა ვქნათ? სად უნდა ვიყოთ? ვისთან ერთად და ვის წინააღმდეგ?

არავისთვის ახალ ამბავს არ წარმოადგენს, რომ მსოფლიოს მეექვსედი ნაწილი, შრომის სამეფო, საბჭოთა კავშირი გარემოცულია მოსისხლე მტრებით, რომლებიც ყოველის ღონით ცდილობენ ჩაითრიონ ის ახალ იმპერიალისტურ ომში.

დღეს ყველასთვის აშკარაა, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომლისთვის საბჭოთა სისტემის არსებობა დაღუპვის მომასწავებელია, არ მოასვენებს ამ თავის მოსისხლე მტერს.

ჩვენს გაზეთებში უტყუარი ფაქტებით დაასაბუთეს ის გარემოებაც, რომ საზღვარ-გარედ გადახვეწილი ქართველი ემიგრაციის ბელადები ცდილობენ ჩვენ ხალხს მოახვიონ თავზე ის ავანტიურა, როგორიც მოგვიწყვეს 1924 წლის აგვისტოს თვეში.

უდაოა, რომ თვითეულ პოლიტიკურ მოღვაწეს აქვს უფლება, როგორც კერძო პირს, დაბრძანდეს თუნდაც შორეულ პარიზში და რანაირიც სურს ისეთი გეგმები თხზას, როგორიც უნდა ისეთი გასართობები გაიჩინოს, პირადათაც გასწიოს ყოველგვარი „რისკი" და ცეცხლს ეთამაშოს. მაგრამ როცა საკითხი ეხება ერს, მის ინტერესებს, მაშინ ჩვენ ვეტყვით ჩვენი ხალხის არამკითხე ქირისუფლებს:—კმარა, შეჩერდით! კმარა ის რაც ცრუ დაპირებებით ხალხი მოატყუეთ, რაც თავზე მოახვიეთ.

ჩვენებურ ემიგრაციას, ზოოლოგიური სიძულვილით გამსჭვალულს ბოლშევიზმისადმი არ სურს დაინახოს ის, რაც ჩვენში კეთდება. პირდაპირ ვიტყვით, რომ მმართველ პარტიას და ჩვენს შორის იყო ერთგვარი გაუგებრობა, მაგრამ ეს ჩვენ უკვე მოგვარებულად მიგვაჩნია.

თვით ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ ბოლშევიზმს ბევრი საქმეების გაკეთება შეუძლია. არ არის არც ერთი დარგი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობისა, რომელსაც არ ეტყობოდეს გაუმჯობესება.

ამიტომ, თუ ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი ქვეყნის კულტურული და პოლიტიკური აღორძინება, ჩვენ უნდა ვიყოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან, იარაღით ხელში უნდა ვიცავდეთ მას ყოველგვარი მტრებისაგან.

ვისაც უყვარს თავისი ქვეყნის მშრომელი ხალხი, ვისაც სურს თავისი ქვეყნის ნამდვილი დამოუკიდებლობა, ის გვერდში უნდა უდგეს კომუნისტურ ხელისუფლებას, ვინაიდან ჩვენი ნამდვილი დამოუკიდებლობა იჭედება დღეს კომუნისტური ხელისუფლების მიერ.

დღეს თითეული ჩვენთაგანის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს დაცვა მისი, რაც ხელთ გვაქვს ბრძოლით მოპოვებული, ერთგული თანამშრომლობა, ყოველნაირი დახმარება მმართველ პარტიისა და მის ხელისუფლებას, სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლის წარმოება იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც ლაპარაკობს ერის სახელით და სინამდვილეში კი ამ ერის დამღუპველ პოლიტიკას აწარმოებს.

**აპოლონ ალანია.**

# ქართული ენის სიწმინდისათვის

ენა არის არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების უმთავრესი ატრიბუტი, არამედ ის არის ამავე დროს ერის არსებობის უდიდესი ფაქტორი; ამისათვის მეტის ყურადღებით და სიფაქიზით უნდა მოვეპყროთ მას, განსაკუთრებული მზრუნველობაა საჭირო ენის სიწმინდის დასაცავათ; უბრალო შეცდომა, ენის დამახინჯების პატარა ფაქტიც კი არ უნდა იქნეს დატოვებული უყურადღებოთ.

თემა ქართული ენის სიწმინდის შესახებ არ არის ახალი—ძველია, მაგრამ, სამწუხაროთ, დღეს საჭიროა ამის შესახებ ლაპარაკი, ვინაიდან დღესაც საკმაოდ მოიპოვება ქართული ენის დამახინჯების ფაქტები. ჩვენ არ გვინდა მკითხველს ამჟამათ მიუთითოთ ეგრედ წოდებულ „პროვინციალიზმზე", რომელიც მახინჯის სახით ბლომათ შემოიჭრა ჩვენს ლიტერატურაში და არც იმ აუარებელ უცხო სიტყვათა ლექსიკონზე, რომელმაც ლამის არის სრულიად ჩაყლაპოს ნამდვილი ქართული, ხალხური ენა, რომელშიაც საკმაოდ მოიპოვება გაცილებით უფრო კეთილხმოვანი სიტყვები, რომლებიც სხარტად, მკაფიოდ და მასისათვის უფრო გასაგებათ გამოხატავენ აზრს, ვინემ უცხო სიტყვები; მაგრამ ჩვენს მწერლებს, განსაკუთრებით ინტელიგენტთა წრიდან, ისე შეუყვარდათ უცხო სიტყვათა ხმარება, რომ უიმისოთ წერა ვერც კი წარმოუდგენიათ; მათ კიდევ ჯანი გავარდესო, არ დაეძებდით, რომ მათი გავლენის ქვეშ არ ვარდებოდენ მუშურ-გლეხურ წრეებიდან გამოსული მწერლები; ხშირათ გლეხკორი და მუშკორებიც კი ცდილობენ რაც შეიძლება ბლომათ იხმარონ უცხო სიტყვები წერის დროს, ფიქრობენ, რომ რაც მეტი იქნება წერილში, უცხო სიტყვები, მით უფრო საყურადღებო და შინაარსიანი იქნება წერილი. ნათქვამის დასამტკიცებლად შეგვეძლო აუარებელი ფაქტები მოგვეყვანა, მაგრამ ქართული ენის დამახინჯების მხარეს ვრცლათ ჩვენ შემდეგ შევეხებით: ეხლა კი გვინდა მიუთითოთ მკითხველს ქართული ენის ნამდვილ გამრყვნელ, აშკარა სიმახინჯეზე და მის გამომწვევ მიზეზებზე; ამის დამამტკიცებელი ერთი ფაქტის შესახებ ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში სწერდა: ამხ. ს. გვიმრაძე: „ჩვენ ხელთ არის ქვითარ, გაცემული შინაგან სახკომის ვიზების მაგიდის გამგისაგან; მოვიყვანთ ამონაწერს ამ ქვითარიდან: **საზღვარ გარედ გაზვლაზე უარის თქვის** შემთხვევაში **საბუდების ასლები არ აბრუნდება** უკან, ან კიდევ: **მილებულია**-ს მაგიერ **მიგებულია** და სხვა; „თავის თავად ეს დიდი ცოდვა არ არისო", სწერს ხსენებული შენიშვნის ავტორი, მაგრამ ჩვენ დავარწმუნებთ მას და ყველას, რომ ეს მიუტოვებელი ცოდვაა, რომელიც რყვნის და აფუჭებს არამც თუ მარტო ქართულ ენას, არამედ ამავე დროს სახელს უტეხავს ჩვენი რესპუბლიკის იმ ორგანოებს, რომლებიც ასეთი „ქართული ენით" სწერენ ოფიციალურ საბუთებს; მარტო დასახელებული ფაქტით რომ თავდებოდეს ეს ბოროტება, რა თქმა უნდა იმის გამოსწორება ადვილათ შეიძლება და არც ჩვენ მივაქცევდით მას ყურადღებას, მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ასეთ სამწუხარო მოვლენას ადგილი აქვს არა მარტო შინაგან სახკომ. კანცელარიაში, ბევრგან სხვაგანაც; ვინ არ იცის, რომ ხშირათ „სწერენ" წყალსადენის მაგიერ **წკალსადენს** და სხვა.

რაშია საქმე? ვინ არის აქ დამნაშავე? საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი განყოფილების გამგეებმა ძალიან გლახათ გაიგეს დაწესებულებათა გაეროვნების საკითხი; ვინ არ იცის, რომ ჩვენ დაწესებულებებში, განსაკუთრებით კანცელარიასა და ბუჰხალტერიაში იყვნენ რუსის თანამშრომელნი; ნაციონალიზაციის გამოცხადების შემდეგ მათ ნაუცაბედათ „შეისწავლეს" „საყველ-პურო" ქართული ე. ი. ორდერებზე თავის გვარის მოწერა და **მიგებულია**-ს წარწერა და დაწესებულებათა გამგეებიც ამით დაკმაყოფილდენ და ისინიც დღემდე განაგრძობენ ასეთ „მოღვაწეობას"; განსაცდელშია მათ ხელში სახელმწ. ენა და მათი „ნაწარმოების" მკითხველი მოქალაქეებიც; იბღალება ქართული ენა, იკარგება მისი სიწმინდე და თავისებურობა; ვინ იცის სანამდე მიიყვანს ქართულ ენას ეს დაუშვებელი ბოროტება თუ მას დროზე არ მოეღო ბოლო; ამ სამწუხარო მოვლენის თავიდან აშორება არც ისე ძნელი საქმეა; კანცელარიაში საქმის წარმოება და საბუჰხალტერო საქმეების ასრულება არაა დიდი სასპეცო საქმე; ამას მკვიდრთაგან შესძლებს ყველა, ვისაც გაუთავებია საშუალო სასწავლებელი და შეუსწავლია საგანი, მათი რიცხვი ხომ ათასობით არის ჩვენში, რომლებიც ქუჩებში უსაქმოთ დახეტიალობენ. და თუ მაინც და მაინც აუცილებელი საჭიროა ჩვენ ქართულ დაწესებულებებში რუს ამხანაგთა თანამშრომლობა, ეს ხალხი უნდა შეეცადოს, რომ სახელმწიფო ენა შეისწავლოს ისე, რომ არ იმსხვერპლონ ის... მაგრამ შესძლებენ კი ამას?! გვეეჭვება.

ამ საქმეს მოევლება უფრო უმტკივნეულოთაც: არის ჩვენში ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც საქმიანობენ საკავშირო მასშტაბით, მაშასადამე იქ დასაშვებია საქმეების წარმოება რუსულ ენაზე; ხშირია შემთხვევა, როცა ხსენებულ დაწესებულებებში არიან ქართველი თანამშრომლები (საქმეთა მმართველის, ბუჰხალტრის, მოლარის თუ სხვა თანამდებობაზე) ნუ თუ არ შეიძლება მათი გადმოყვანა იმავე თანამდებობაზე ქართულ დაწესებულებებში და მათ მაგიერ ადგილებზე კი ის რუს თანამშრომელთა მოწყობა, რომლებიც მსახურობენ წმინდა ქართულ დაწესებულებებში; ჩვენ ვფიქრობთ ასეთი კომბინაცია ადვილი მოსახერხებელია, და ის ნაწილობრივ მაინც მოუღებს ბოლოს იმ არა სასიამოვნო მოვლენას, რომლის შესახებ გვქონდა ლაპარაკი.

დასასრულ მოუწოდებთ ყველას, ვისაც სურს დაეხმაროს მთავრობას და მმართველ პარტიას ნაციონალიზაციის უმტკივნეულოდ გატარებაში, ყოველმხრივ შეეცადოს იმ ბოროტების ძირიან-ფესვიანათ აღმოსაფხვრელათ, რომელიც ბღალავს ქართული ენის სიწმინდეს.

**მასწავლებელი.**

# ალაზნის სარწყავი არხი

ალაზნის ველის მორწყვის იდეია დაიბადა ამ 20—30 წლის წინად. 1911 წ. ეს საკითხი პირველად იყო დასმული განსახილველად თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში, რომელმაც სასურველად სცნო ამ საკითხის აღძვრა სათანადო დაწესებულების წინაშე. მაშინდელმა თავადაზნაურთა წინამძღოლმა კ. აბხაზმა უმაღლესი მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა სარწყავი არხის გამოყვანის შესახებ. ნებართვის აღების შემდეგ ეს საკითხი დასმულ იქნა თავადაზნაურთა კრებაზე 1914 წ., რომელმაც წინასწარი გეგმის შესადგენად და გამოკვლევისათვის გადასდო 12000 მან. გეგმისა და სმეტის შედგენის შემდეგ საჭირო თანხის აღმოსაჩენად განძრახული იყო აქციონერული საზოგადოების დაარსება კახეთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებისა და კერძო პირთა მონაწილეობით.

ინჟენერ პ. მამრაძის პირადი ხელმძღვანელობით არხის მიმართულების გამოკვლევას კახეთში შეუდგნენ 1915-16 წ. და, მიუხედავად მსოფლიო ომის მიერ შექმნილ მძიმე პირობებისა და რევოლიუციონური მოძრაობის დაწყებისა, 1917 წ. დეკემბრის მიწურულში არხის გამოკვლევა დაბოლოვებულ იქნა იმ მიმართულებით რა მიმართულებითაც ეხლა სწარმოებს მუშაობა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ალაზნის არხის გამოკვლევას შეუდგნენ 1925 წ. აპრილში. მიწის მუშაობას კი იმავე წლის შემოდგომიდან. პირველ ხანებში მიწის მუშაობა სწარმოებდა ნელის ნაბიჯით, ხოლო წარსულ ზამთარში, მუშაობა გაცხოველდა და ნორმალური მსვლელობა მიიღო.

ამჟამად არხი გაყვანილია 35 ვერსის მახძილზე და ორი მესამედი მიწის მუშაობისა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს ამ გაზაფხულიდან განზრახულია ბეტონების სამუშაოს დაწყება ხევებზე, სადაც კი ამეებს გადასჭრის მთავარი არხის მაგისტრალი და მისი დამთავრება მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდინ.

მთელი მიწის სამუშაოები აგრეთვე შენობებისა და ჯებირის სათავეში და ელსადგურის აგება ს. ბაკურციხის ახლო დამთავრებული იქნება 1927-29 წ. განმავლობაში.

ამისათვის წყალთა მეურნეობის სამმართველოს თავის საწყობებში ალაგობრივ უკვე დამზადებული აქვს 35.000 კასრი ცემენტი, 30 ვაგონი ხე-ტყის მასალა, 20 ვაგონი რკინა და სხვა.

მომავალში ალაზნის არხმა, დაწყებული სოფ. ტოლნიანის (თელავის მაზრა) ბოლოდან ვიდრე შირაქის მაღლობის კალთებამდისინ, უნდა მორწყოს გზა და გზა მდებარე სოფლების მინდვრები და შემდეგ შირაქის ველი. მთელი მიწის სივრცე, რომელიც ჰყვება არხის ჩრდილოეთის მხრივ ალაზნამდე აღემატება 50.000 დესეტინას, ხოლო ამ მიწის რაოდენობიდან სარწყავ ადგილებად გამოყენებული იქნება 40.000 დესეტინა.

ის ალაზანი, რომელიც დღემდისინ კახეთისათვის ზარალის მეტი არაფერი არა მოქონდარა, მისი გადმოშვებით არხში კახეთის მოსახლეობასააყვავებს ეკონომიურად და კულტურულად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში კახეთი თავის ისედაც მდიდარი ბუნებით და ღონიერი მიწის ნიადაგით, არხის გაყვანის შემდეგ გადაიქცევა ისეთ მძლავრ ეკონომიურ ფაქტორად, რომელიც შესძლებს არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის გამოკვებას, არამედ ამ მხრივ უზრუნველყოფს თითქმის მთელი საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობასაც კი!

შირაქის ველი, რომელიც ღარიბია მცენარეულობით უწყლოობისა გამო და გადამწვარ უდაბნოს წარმოადგენს ზაფხულობით, ალაზნის არხის წყალობით ახლო მომავალში გადაიქცევა საქართველოს უუმშვენიერეს და უმდიდრეს კუთხედ!

ძნელია ახლავე გამოანგარიშება და აღნუსხავა იმ სიკეთის და იმ სარგებლობის, რომელსაც უქადის სარწყავი არხი კერძოდ კახეთს და საზოგადოდ საქართველოს ერს, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ალაზნის ველის მორწყვა და ელექტრონის ძალის გამოყენება მეურნეობაში 10--12 წლის განმავლობაში თამამად დაფარავს მასზე გაწეულ ხარჯს და შემდეგში დიდ შემოსავალს მისცემს სახელმწიფოს.

მაგრამ ამ დიად საქმესთან ერთად არა ნაკლებ უდიდესი საქმე გვაქვს კიდევ გასაკეთებელი. ეს საქმე მდგომარეობს იმაში, რომ ცარიელი სარწყავ ადგილებზე გადმოვასახლოთ საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ან დიდი მიწის სივიწროეს განიცდის, ან მწირი ბუნების წყალობით ნახევრად ველურ ცხოვრებას ეწევა.

აქედანვე უნდა შეუდგეს ხელისუფლება აღნიშნულ კატეგორიის მოსახლეობის აღრიცხვას რაჭაში, ლეჩხუმში, ფშავ-ხევსურეთში და სხ. ვინაიდან არა ერთი და ორი ზომიერი სოფლის გაშენება შეიძლება კახეთის თავისუფალ ადგილებზე.

ალაზნის არხის დამთავრებამდე ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხიც გამორკვეულ უნდა იქნეს ახლავე.

**ი. ვაჩნაძე.**

# საუბარი პროლეტარულ ხელოვნებაზე

## ალიო მაშაშვილი

წარმოიდგენით ქარიშხალი, აბობოქრებული, გაგიჟებული ზღვა და შიგ მენავე. გაშმაგებული ებრძვის აწყვეტილ ტალღებს, უახლოვდება ნაპირს და ცდილობს ზედ დამაგრდეს; აი ფეხი უკვე ხმელეთზეა, მაგრამ შამოჭბერავს ტალღა და მოაცილებს ნაპირს, გადაისვრის შორს.

ასეთ მენავეს წარმოადგენს მაშაშვილი მისი ლექსების პირველ ტომში.

მაშაშვილი—პოეტი თანამედროვე ცხოვრების ქაოსში იშვა. ამიტომ ეს ატარებს როგორც დუღილს ამ ცხოვრებისას, ისე ყველა ნიშნებს გარდამავალი ხანისას.

ძლიერმა ქარიშხალმა მაშაშვილი ამოისროლა ბურჟუაზიული წობილების ნანგრევებიდან. ის მთელის თავისი არსებობით მიისწრაფის წინ კომუნიზმისაკენ. მაგრამ ბურჟუაზული აზროვნების ქსელი ფეხებზე ეხვევა და არ აძლევს საშუალებას, მტკიცედ ჩასჭიდოს ორივე ხელი ახალს.

მან გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი წარსულთან,

დაასამარა ძველი და სწყურია სულ მაღლა, მაღლა ასწიოს კომუნიზმის დროშა; მაგრამ მის მარჯვენას თავისკენ ეწევა ილიას ნაციონალიზმი, აკაკის პატრიოტიზმი, ვაჟას სევდა, ტანმოგრეხილი ხმალი კახისა, ბურჟუაზიული დეკადანსი და სხვ.

პროლეტარულ პოეტს მარტო პროლეტარიატის საბოლოო მიზნის გაზიარება კი არ ახასიათებს, არამედ კოლექტიურ განცდათა გადაშლა, კოლექტიური ნებისყოფის ამოძრავება, კოლექტიური გრძნობის, მისწრაფებისა და მოქმედების დასურათება.

მაშაშვილის შემოქმედებას კი ორი სახე აქვს: ერთი—კოლექტიური, მეორე—ინდივიდუალური; მისი ლირიკა უმთავრესად პირადი განცდის პრიზმაშია გატარებული.

ყოველივე ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ პოეტი პირმშო შვილია გარდამავალი ხანისა, იწვის და სდუღს ამ ხანასთან ერთად და სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა ძლიერ ზეგავლენას განიცდის.

პროლეტარიატის საბოლოო მიზანი პოეტს გადააქვს თავის პოეზიაში და მთელი მისი შემოქმედება კომუნიზმის წითელი დროშით არის აელვარებული.

მაშაშვილის პოეზიაში დიიდ დუღილია, დიდი ცეცხლი, გატაცება, თავდავიწყება; შიგ სჩქეფს დიდი ტემპერამენტი, დინამიურობა, მუსიკალური სილამაზე.

„დიახ, ჩემს ფიქრებს მოუსვენარს
ცეცხლის ტალღა ჰქვია.
ცეცხლში ლექსს ვრთავ,
ცეცხლში—რითმას
ცეცხლში—სილამაზეს“.

თანამედროვე ცხოვრების თავისებური ტემპი, გაქანება, კარგად არის ასახული მაშაშვილის პოეზიაში; აქ არის სინამდვილის დუღილი, სრბოლა, ნერვულობა, სიმკაცრე და ჭიდილი.

მაგრამ მიზანი ჯერ კიდევ შორს არის; მანძილი ჯერ კიდევ დიდია გასავლელი.

„ო, ცხოვრებაში მე რაც მინდა,
მე რასაც ვეტრფი“.
ასეთი ფერი ჯერ არ არის, ჯერ არ არსებობს“!

მტერი არა სცხრება; ის ახალ-ახალ იერიშებს ამზადებს.

აუცილებელია ბრძოლის ცეცხლი შეუბრალებელი, მედგარი.

მაშაშვილიც ბრძოლის პოეტია, სამოქალაქო ომის. პროლეტარულ პოეზიაში ბრძოლის ცეცხლის სიმხურვალე არავის არ აუსახავს, არ განუცდია ისე მძლავრად, როგორც ეს მაშაშვილმა განიცადა და ასახა.

მებრძოლის მარჯვენა ხელი იარაღია, ის იარაღზეა შეყვარებული. ასეთია მაშაშვილიც.

აკაკიმ იწამა ხანჯალი, შეიყვარა ის და გალესა მტრის გულის გასაგმირავად.

მაშაშვილს უყვარს თოფი, ბომბა, ზარბაზანი. თოფის ტუჩი მისთვის საყვარელის ბაგეა:

„მან გაგვამხნევა და შეგვასწავლა
ცხელი ამბორი თოფის ბაგეზე“.

ან:

„და ხარბად ვკოცნი გაციებულ
თოფის ბაგეებს“.

სამოქალაქო ომს მოსდევს სისხლისღვრა. სისხლი არის აუცილებელი, არც მეტი, არც ნაკლები.

მაშაშვილი აუცილებლობის თვალსაზრისით კი არ უყურებს სისხლს, ის სისხლში ჰხედავს სიყვარულის საგანს.

აკაკისა აქვს ერთ ლექსში შემდეგი სიტყვები:

არ ვნატრობ მეტს აღარას,
რომ სამშობლოს მტრის სისხლით—
ვილებავდე ქალარასა.

საშინელი სიტყვებია, პოეზიაში დაუშვებელი; მაგრამ აქ მხოლოდ შურისძიება, უკიდურესი ბრძოლაა პატარა ერისა თავისი არსებობის დასაცავად.

მაშაშვილმა იცის შურისძიება, შურისძიება სასტიკი, ულმობელი, შეუბრალებელი:

ღამით ჩვენ გვინდა, რომ ცეცხლს ვაჩენდეთ,
რომ ცეცხლს ვაჩენდეთ შურისძიებით.

მაგრამ შურისძიებით და სამოქალაქო ომით გატაცებული ის სიყვარულით იკრავს გულში სისხლს:

მე მიყვარს სისხლი, მე ვანთებ კოცონს,
არ მინდა რჩევა და დარიგება.

რაკი ერთხელ შეიყვარა პოეტმა სისხლი, ის დაეძებს მას, როგორც კოკაინისტი კოკაინს.

გვიყვარს თარეში, სისხლით არ ვძღებით.

---

თვისკენ მიზიდავს სისხლის ღვარები,
მათი გულის თქმა მიტაცებს უფრო!

---

ცოდვების ზიდვა ბედს დავაკისრე,
ფეხზე სისხლიანს ვატარებ წუღებს,
თვალდახუჭული გავისვრი ისრებს
და მსხვერპლი მსხვერპლზე—აღარ მაწუხებს.

სისხლით გატაცებული პოეტი პროლეტარ ქალშიაც უმთავრესად სისხლის სიყვარულს აფასებს:

უარყო ზავი, სწყურია სისხლი.
სისხლი—მტრის სისხლი.

და როდესაც ყოველივე ამის შემდეგ პოეტი გვიცხადებს:

პოეზიაში ჯალათი ვარ—ო,
სრული ჭეშმარიტებაა.

სისხლის პოეზია მაშაშვილის შემოქმედებაში უმთავრეს და მეტად დამახასიათებელ ძარღვს შეადგენს. მაშაშვილი აქ თვითონ ცხოვრებაა. პოეზიაში ის ჯალათია, იმიტომ, რომ თვით ცხოვრება არის ჯალათი.

მაგრამ ცხოვრებას ბოლოს და ბოლოს ჯალათი მაინც არ უყვარს, მაშაშვილმა კი შეიყვარა ის და ამიტომ მისი სიტყვები:

ჩვენ მაინც გვინდა, რომ სიყვარული
გულში მზესავით ამოდიოდეს,

მხოლოდ ღიმილს თუ გამოიწვევს:

ვინც ერთხელ სისხლს ეამბორა, მან სიყვარული გულიდან განდევნა.

მაშაშვილის სტიქია არ არის სიყვარული, ეს მან სხვას დაუთმოს: მას ეხერხება სხვებზე უფრო რევოლიუციის ნამდვილი სახის განცდა და დასურათება.

ღმერთების ცა დიდიხანია დაინგრა, ყოველ შემთხვევაში მუშათა კლასისათვის აღარ არსებობს და არც უნდა არსებობდეს, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ პოეზიისათვის ცა არ არსებობს?

არა.

ჩვენ ღმერთი იმიტომ გადმოვაგდეთ ციდან, რომ იქ გავაბატონოთ ხელოვნება და საერთოდ ყოველივე რაც მშრომელ ხალხს ასწევს მაღლა, გაასპეტაკებს გონებით, გააღაქიზებს გულით და გააქანებს სულ მაღლა და მაღლა უკეთესი მომავლისაკენ.

ჩვენი ოცნება, ჩვენი იმედები, ჩვენი მისწრაფება, ჩვენი გაქანება სცილდება ყოველდღიურობას და მიჰქროლავს ლამაზი მომავლისაკენ, რომელსაც ჩვენ სოციალიზმს ვუწოდებთ, სოციალიზმი ჩვენ მარტო იმისათვის კი არ გვინდა, რომ მუშა გაძღეს, სოციალიზმი ჩვენ გვინდა თავისუფლებისათვის, ერთობისათვის, თანასწორობისათვის, უდიდესი სამართლიანობისათვის.

სოციალიზმი მისთვის გვინდა,, რომ განთავისუფლებულმა, ქონებრივად უზრუნველყოფილმა მუშათა კლასმა თავის გონების ფრთები გაშალოს და შექმნას პროლეტარული კულტურა.

ამიტომაც ცა, როგორც გაქანება წინ, როგორც წყურვილი, მისწრაფება უდიდესი და უმაღლესი კულტურის—პროლეტარული კულტურის შექმნისაკენ, პროლეტარულ პოეზიას უსათუოდ ესაჭიროება.

ეს არის ერთგვარი ზედნაშენი, რომელიც მიწის პირობებში იზრდება და ამავე დროს ამ პირობების გარდაქმნას ემსახურება.

მაშაშვილი კი ყოველივე ამას უარჰყოფს და ამით პოეზიას აცლის იმის სასიცოცხლო ძალას:

„ეს ქუჩა, ეს ქვა უფრო მეტს მოგვცემს,
ვიდრე ის სივრცე დაცა უტვინო“.

ამიტომაც პოეტმა ბარათაშვილის კვნესა გულისა, ობლობა, მისი მერანი სრულებით ვერ გაიგო და ამის სიტყვებზე:

„შენი მერანი? ჰო, არა უშავს,
იქნებ ჩალანდრათ კლდეს გადმოვიდეს“.

უნებლიეთ მაგონდება კრილოვის ერთი არაკი.

ყოველი ადამიანი, ყოველი მოღვაწე, ყოველი პოეტი უნდა დაფასდეს ისტორიულ პირობებში და შეუძლებელია, ბარათაშვილს ვუსაყვედუროთ, რატომ არ გაღელვებდა ჩვენი დროის კითხვებით.

„რა იქნებოდა, ცხოვრების თვალში
შენც ბოქულაძე, რომ დაგენახა“?

ბოქულაძე დაინახა გრიგოლ ორბელიანმა და ნუ თუ მაშაშვილს ჰგონია, რომ ბოქულაძის ავტორი უფრო ახლოს არის ხალხთან, ვიდრე ბარათაშვილი?

თუმცა პოეტი უარჰყოფს ცასაც, ბარათაშვილსაც, მაგრამ მალე თვითონვე ჰლალატობს თავის-თავს და თავაშვებული ოცნებას მიაქანებს ცისაკენ.

აიღეთ „წარღვნა“; თავში ჰკითხულობთ: დაწერილია დროს და სივრცის გარეშე.

რა არის ეს? ქუჩა და ქვა? არა, უარყოფა ამ ქუჩისა და ქვისა.

ამ ლექსში გაგიჟებული კაცი
გუშინ აქ იჯდა,
სად არის ეხლა,
ხვალ შეიძლება
„ნეპტუნს“
ესტუმროს რკინის ეტლებით.

———

ავალთ „ნეპტუნზე“,
ხალხის ლოდინი
და აღტაცება...
მისასალმებელ ხმებს
მივანდობთ ცეცხლის
არწივებს.

და სხვადასხვა

სივრცეში ძიებას, რომ მაშაშვილი არ გაურბის და აფასებს კიდეც ასეთს ძიებას, ამას ჰმოწმობენ მისი სტრიქონები:

მაგრამ ამავ დროს რაღაც მომელის;
ალბად ძიება ჩემი მტკიცეა:
სივრცეში ძებნა მიუწდომელის
გენიალებმა მხოლოდ იციან.

თავისი გენიალობა კი პოეტს სწამს:

მეც დამაცადეთ ამ გრიგალში
ამ ზღვაზე გასვლა
და მაშინ ნახავთ: ვარ თუ არა ლექსში გენია!

მაშ რაღას ერჩის ბარათაშვილს?

რატომ ჰგონია, რომ მისი მერანი მხოლოდ ჩალანდრის ცხენად გამოდგება? „წარღვნა“-ში პოეტის ოცნება მარტო პლანეტებამდე ადის, მაგრამ ლექსში „ქარში“ მისი ოცნება პლანეტების საზღვარსაც გადალახავს:

ჩემი შეშლილი სახე და „ტანგო“
ისე მაღელვებს და მასასტიკებს,
რომ ფიქრთა კარავს მსურს დავეტაკო
და გადავფრინდე პლანეტებს იქით!

გაიხსენეთ ამის შემდეგ ბარათაშვილის სტრიქონები, როდესაც ის მიმართავს ცას:

„მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდება საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს“.

ერთი მიბრძანეთ, რა განსხვავებაა აქ? ბარათაშვილი ცას იქით ეძებს სადგურს, მაშაშვილს კი პლანეტებს იქით უნდა გადაფრინდეს.

რა თქმა უნდა, მიზანი ორივესი სხვადასხვა არის, აზრი კი ერთი და იგივეა მხოლოდ სხვადასხვანაირად გამოთქმული.

მარტო ბრძოლა და სამოქალაქო ომი არ არის საკმარისი პროლეტარული კულტურის შესაქმნელად,—საჭიროა შრომა.

ეს კარგად იცის მაშაშვილმა და ამიტომ ის უმღერის მედგარ, ყოვლის შემძლებელ შრომას.

სისხლის წვეთები იქცევა ოფლად...
ოფლი—შრომის რუთ და ჩანჩქრებათ!

———

სარდაფის კვამლში ყველა გადავალთ.
ბორბლების ტრიალს ვნებით გავყვებით.

პოეტი დარწმუნებულია, რომ ასეთი შრომის გამეფება ცხოვრებას ააყვავებს და გარდაქმნის:

დინამო ცაში გააფრენს ურემს.

ის განავითარებს მარტო მატერიალურ კულტურას კი არა, არამედ ხელოვნებასაც:

და პოეზია უძხურვალესი
შექმნის კვლავ მრავალ ბაირონს, შექსპირს!

პოეტის თვალში ყოველგვარ შრომას არა აქვს ასეთი ძლევამოსილობა, არამედ მხოლოდ კოლექტიურ შრომას.

რადგანაც კოლექტიური შრომის კერა არის ქალაქი, ამიტომაც მაშაშვილი არის ქალაქის მგოსანი.

ქალაქი ცხელი და მოტივტივე,
ქალაქი ბუდე ცეცხლის ჩიტების
მე შემიყვარდა, ქუჩებს მივკი[illegible]
და მგონი ღამეს შევეჭიდები.

პოეტსა აქვს ორი ლექსი „ქალაქი“ და „ქალაქი ღამით“. ორივე ლექსი ერთად ჰქმნის კარგ სურათს მოძრავი, მშფოთავი ქალაქისას, სადაც

ბატონობს შრომა, ოფლი დგება ოკეანებათ და შიგ ცხოვრება იკვერება რვალით და რკინით.

პოეტი ბრძოლის, პოეტი სამოქალაქო ომის, სისხლისა და ძლევამოსილი კოლექტიური შრომის სოფელს გაურბის; მას სძულს სოფელი, სოფელი აღრჩობს მას:

დედა, ნუ მელი, ბავშობიდან მძულდა სოფელი.
მეც სოფელს ვძულვარ... ყელზე მიჭერს რკინის
მარწუხებს.

მთელი პოეზია მაშაშვილისა ავარვარებულია ბრძოლის ცეცხლით. ეს არის კლასობრივი ბრძოლა. მისი შემოქმედება იბადება ბრძოლის ქარცეცხლში, როდესაც დრო სწრაფია და ხანგრძლივი მოფიქრების საშუალებას არ გაძლევს.

ამიტომ მაშაშვილის პოეზიაშიაც არის ნახატები, წინააღმდეგობანი, შეუსაბამობა, მაგრამ მთელის თავისი ძალ-ღონით ის პროლეტარიატის რიგებში იბრძვის კომუნისტური გაგებით, მაგრამ არ არის მხოლოდ კომუნისტი, არამედ ქართველი კომუნისტი; მას უნდა კომუნიზმის სამეფოში შესვლა საკუთარი, ქართული სახით, ქართული მეობით:

მაგრამ იცოდეთ ამ ქართულ მიწას
სხვის ნაფიქრალში ნულარ დამალავთ!
საკუთარ სახეს ვინც კი დაიცავს,
ის მსოფლიოში შევა თამამად.

ლექსი „ზოგიერთ პროლეტარულ პოეტებს“ მეტად დამახასიათებელია, გაბედული, თამამი და პირდაპირი.

პოეტისათვის ოქტომბერი სრულებითაც არ არის უარყოფა სამშობლოსი და მისი წარსულისა:

შევწირავთ იმედს და თავდადებას
ოქტომბრის დროშას ცეცხლად ახრილსა,
კვლავ რაინდულად ამოვარდება
ტანმოგრეხილი ხმალი კახისა.

კახის ხმალში პოეტი გულისხმობს სამშობლოს წარსულ დიდებასა და თავისუფლებას. ოქტომბრის დროშამ მისი რწმენით ეს დიდება და თავისუფლება უნდა აღადგინოს, გაზარდოს და განამტკიცოს.

პოეტის კრებულის წინასიტყვაობაში სხვათა შორის ვკითხულობთ: „ქართულ მწერლობაში მას არ მოეპოება მწერალი, ან კლასი კი, რომელსაც ან ფორმით ან განწყობილებით აგრძელებდეს ან ბაძავდეს მაშაშვილი... ამ მხრივ იგი უწინაპროა“.

რა თქმა უნდა, ეს არ შეეფერება სინამდვილეს. მაშაშვილი მეტად ახალგაზრდაა, ის ციდან არ ჩამოვარდნილა, წინაპრებიც ჰყავს, ფორმითაც ჰბაძავს მათ და ზოგჯერ განწყობილებითაც. თქვენ მის ლექსებში იცნობთ, გალაკტიონ ტაბიძის გავლენას, გრიშაშვილისას (პასუხი მოგონებას), მაგრამ პოეტის უმთავრესი წინაპრები სიმბოლისტები არიან და ფორმით მაშაშვილი უფრო სიმბოლისტია, ვიდრე თვით სიმბოლისტები. პოეტის მთელი ლექსები ასონანსებით არის დაწერილი და ბევრი ასონანსი მეტად ლამაზია და ორიგინალური:

„ წვიმაში—წინ მაშინ და სხვ.

ბევრგან პოეტს აშკარად ემჩნევა სიმბოლისტური ყაიდა წერისა.

„ცხოვრება მყრალი და ნაშანკირი“.
„ცოდვილი მიწა იყო ორსული!

ან კიდევ:

ო, დამპალ ღამეს
მოსდის ბალღამი,
ტვინის ანთებით
საშინლად ჰკივის.
ჰლექიან თვალით
დაჰყურებს ქალაქს.

ყოველივე ეს პირწავარდნილი სიმბოლიზმია.

მხოლოდ სიმბოლისტებს მოსწონთ სიფილისი და ქლექი იმდენად, რომ სახლებსა და ქუჩებსაც კი აჯილდოებენ ორივე ამ სენით.

აიღეთ პოეტის „სამიკიტნო“, აქ არა თუ ყაიდა წერისა, განწყობილებაც სიმბოლისტურია.

ყოველივე ეს სრულიად ბუნებრივია: თვითეული მწერალი განიცდის ამა თუ იმ გავლენას თავისი შემოქმედების პირველ ხანებში:

მაშაშვილიც არ შეადგენს გამონაკლისს. სამაგიეროდ მას აქვს უტყუარი ნიჭი და თუ ეს ნიჭი განავითარა, საკუთარ ფეხზე დადგომასაც შესძლებს როგორც შინაარსში, ეგრეთვე ფორმაშიაც.

პოეტს აქვს ბევრი ახალი სიტყვა და ლამაზი თქმა, ლამაზი შედარებანი, მაგრამ ალაგ-ალაგ იმის ქართულს ვერ მივიღებთ; დავლალდი, გახურია, განსაცდელება, ხვეწლავს და სხვ. არ ვარგა. აგრეთვე:

„ღმერთო“, უშველე ამდენ პოეტებს,
ავალთ ჯვარზე წამებით.
და კვირა დილას ქრისტესავით ავდგები
მკვდრეთით.

და ყოველივე ამის მზგავსს პროლეტარულ პოეზიაში არ უნდა ჰქონდეს ალაგი.

იგ. გომართელი.

# წერილი პროვინციიდან

## ხ ა შ უ რ ი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

13 აპრილს ქ.ხაშურში ორახელაშვილის სახელობის კინოში მოწვეული იყო ყ. ახალგაზრდა მარქსისტთა და უპარტიო ახალგაზრდობის საერთო კრება, რომელსაც 400-მდე ამხანაგი დაესწრო.

მოხსენება გააკეთეს ამხ. ლ. კუპრაშვილმა და ყურაშვილმა შემდეგ საკითხზე „მომენტი, ბოლშევიზმი, მასთან დამოკიდებულება და ახალგაზრდობის ამოცანები“.

მომხსენებლებმა ფართედ გააშუქეს საკითხი მომენტზე, ბოლშევიზმზე და მასთან ჩვენ დამოკიდებულებაზე. აღნიშნეს, რომ საბჭოთა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მშვიდობიანობის მტრები მენშევიკ მუსავატელების და სხვათა სახით ლამობენ ჩვენში მოაწყონ მეორე ავანტიურა. გარდახვეწილი ემიგრაცია ვეღარ ისვენებს, მათ მთავარ დასაყრდნობ ძალათ საქართველოში ახალგაზრდობა სურთ გამოიყენონ და ჩაითრიონ მშრომელი ხალხის მოღალატურ საქმეში.

მომხსენებლებმა მოუწოდეს ახაგაზრდობას არ აყოლოდენ იმ ყალბ ხმებს, რომლებსაც ავრცელებენ ხალხის მტრები საბჭოთა მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ. საბჭოთა ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდობა უნდა იზიარებდეს ხალხის ჭირ-ვარამს და მთელი თავისი ძალღონით იცავდეს რევოლიუციის მონაპოვარს. ხანგრძლივი კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ რომელშიც მონაწილეობას იღებდენ მრავალი ორატორები, ერთხმად იქნა მიღებული სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ მიღებული იქნა ყ. ახალგაზრდა მარქსისტთა ბიუროს მიერ წარმოდგენილი შემდეგი მიმართვა მშრომელი ახალგაზრდობისადმი:

საუკუნოებით ჩაგრულმა ხალხმა დედამიწის მე-6 ნაწილზე ხელთ იგდო ისტორიის ჩარხი და თვითონ განაგებს თავის ბედსა და მომავალს. ბურჟუაზია და მისი მსახური მსოფლიო მენშევიზმი ყოველის ღონით ცდილობს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

1924 წლის აგვისტოს ავანტიურა საქართველოში ამ ცდის ერთი სახე იყო. ამ ავანტიურამ დიდი ზიანი მოუტანა ქართველ მშრომელ ხალხს. მაგრამ ქართველ ემიგრაციის ბელადები ამითაც არ კმაყოფილდებიან: ისინი მეორე ავანტიურისათვის ემზადებიან.

ბურჟუაზიულ-ფაშისტურ ელემენტებთან კოალიციაში მყოფი ქართველი მენშევიკების ბელადები ხელმძ- ორეთ საფრთხეს უმზადებენ ქართველ მშრომელ ხალხს. მათი მთავარი დასაყრდნობი საქართველოში ახალგაზრდობა გამხდარა.

ჩვენი მშრომელი ხალხის და მისი შვილების მოვალეობაა მთელი თავისი ძალღონით შეებრძოლონ ავანტიურების ასეთ ცდას.

ხაშურის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია გაკოტრებულ მენშევიკების და სხვა ანტი-საბჭოთა პარტიების მიმართ ზიზღს გამოსთქვამს და აცხადებს, რომ ხაშურის ორგანიზაცია მთელის თავის ძალ-ღონით შეებრძოლება ქართველ ემიგრაციის ბელადების ასეთ პოლიტიკას. ის მთელის თავის ენერგიით შეებრძოლება მათ და ეცდება არც ერთი ქართველი ახალგაზრდა არ გახდეს მათი ავანტიურის მსხვერპლი.

იცოდენ ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა, რომ მათი ცდა ჩვენი ახალგაზრდობის ავანტიურაში 1ასარევათ ამაოთ ჩაივლის და ის ახალგაზრდობა, რომლებზეც ეს ავანტიურისტები იმედებს ამყარებენ, იარაღით ხელში შეებრძოლებიან მათ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად.

ხაშურის რაიონის ყ. ახალგაზრდა მარქსისტების ბიურო მოუწოდებს ყველა ქართველ ახალგაზრდებს ჩვენთან ერთად ამოუდგენ გვერდში კომუნისტურ პარტიას და მის მუშურ-გლეხურ ხელისუფლებებს, რადგანაც მთელ მსოფლიოში მხოლოდ ის არის მშრომელთა ინტერესების დამცველი და სოციალიზმისათვის ერთად ერთი მებრძოლი პარტია.

ძირს. მსოფლიო მენშევიზმი!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის შტაბს მესამე ინტერნაციონალს!

ხაშურის ყ. ახალგაზრდა მარქსისტთა კოლეგია:

ევ. ნოზაძე, გ. ზუმბაძე, ნ. ბარამიძე, ლ. ფატარიძე, ელ. ბალავაძე, ალ. ვეფხვაძე, ოლ. გეგეშიძე.

## რედაქციის ფოსტა

**ქ. ონიოლი. მოქ. ლეო რუხაძეს.** თქვენი წერილი რედაქციას არ მიუღია. გთხოვთ გაიმეოროთ.

**სარედაქციო კოლეგია.**

ადმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.